

24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

*2424

ერევის მარის არევის მხარეთა პარტიამ მოიგო

A7



ელენა ბონელი

A11



"ფუკას თასი" საქართველოში დარჩა

A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

ოზამა-მედვედვი: საქართველო ძირითადია

დავიდ ჯ. სმიტი სპეციალურად "24 საათისთვის"

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა 6-7 ივლისს მოსკოვში ჩავა და ეს იქნება მისი პირველი რეალური გამოცდა აშშ-რუსეთის ურთიერთობების "გადატვირთვის" მცდელობაში. ობამამ კრემლში ყოფნისას ფრთხილად უნდა განსაზღვროს, რა საკითხები დადგება დისკუსიაზე და რა არ ექვემდებარება მოლაპარაკებას, ბოლოს კი რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს უნდა განუცხადოს, რომ რუსეთმა უნდა დატოვოს ის ქართული ტერიტორიები, რომელთა ოკუპაციაც გასულ აგვისტოში მოახდინა. ეს არ არის მხოლოდ პრო-ამერიკული დემოკრატიის მხარდაჭერა - ობამას "გადატვირთვის" პოლიტიკა სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

2008 წლის 7 აგვისტოს რუსული ტანკები საქართველოში შეიჭრნენ და ამისთვის მოსკოვის მიერ კონტროლირებადი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტული ტერიტორიები გამოიყენეს.

ბაზრქალაბა A3 გვერდზე



ობამა-მედვედვის პირველი შეხვედრა ლონდონში. აპრილი, 2009.

საზონის შესაფარისი პროტესტი

არასაპარლამენტო ოპოზიციამ თავისუფლების მოედანზე განთავსებული საკნები აიღო. აქციების ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, პროტესტის გამოხატვა თბილისის მერიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის შენობებთან გაგრძელდება. გარდა ამისა, დაგეგმილია საკნების გადატანა ბათუმში.

დათო ბაჩისონია

მას შემდეგ, რაც "ეროვნული ფორუმის" წევრებმა თავისუფლების მოედანზე განთავსებული საკნები დატოვეს, "ფორუმელების" ჩანაცვლებას "კონსერვატორები" აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და თავისუფლების მოედანზე საავტომობილო მოძრაობა აღადგინეს. მათი თქმით, საკნები კვლავ შენარჩუნდება რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ქუჩებზე. გარდა ამისა, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები არ დაეთანხმნენ "ეროვნული ფორუმის" მეორე გადაწყვეტილებასაც - საპროტესტო აქციების ჩატარებას თბილისის გარეთ, თუმცა გუშინ გამოცხადდა, რომ თავისუფლების მოედნიდან აღებული საკნები, შეკეთების შემდეგ, ბათუმში გაიგზავნება. 4 ივნისს კი ტელეკომპანია "მეტროს" მხარდაჭერა აქცია რუსთაველი ჩატარდება. გარდა ამისა, საპროტესტო აქციების დაწყების 2 თვის თავზე - 9 ივნისს ოპოზიციის წევრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის პიკე-

ტირება აქვთ დაგეგმილი. "კონსერვატორების" ლიდერ ზვიად ძიძიგურის თქმით, "შსს-ს პიკეტირება მუდმივი იქნება და ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდება." ამასთან, ბოლო დღეების განმავლობაში არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები და მხარდამჭერები თბილისის მერიის შენობასთან იკრიბებიან და თბილისის მერის გადადგომას ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციებზე პასუხისმგებელი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები არ იზიარებენ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ალასანიას შეხედულებებს მომავალი პოლიტიკური მოქმედების შესახებ, თბილისის მერიასთან გამართულ საპროტესტო აქციას ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძე შეუერთდა. მან საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, მერის პირდაპირი წესით არჩევა მოითხოვა - თბილისის მერის არჩევნების ჩატარება ირაკლი ალასანიას ინიციატივით გამოქვეყნებული ოპოზიციის მოთხოვნების შემადგენელი ნაწილია.

ბაზრქალაბა A2 გვერდზე

ფარსი ოკუპირებულ ტერიტორიაზე

31 მაისს ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა. წინასწარი მონაცემებით, გაიმარჯვა სახელისუფლებო პარტია "ედინსტვომ". ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბელა პლიევას განცხადებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 81,93 პროცენტი შეადგინა, ბიულეტენების 100 პროცენტის დამუშავების შედეგად კი დაფიქსირდა, რომ ე.წ. პარლამენტში სამი პოლიტიკური პარტია მოხვდა. "კომუნისტურ პარტიას" 8 მანდატი ექნება, "ედინსტვომ" - 17, ხოლო "სახალხო პარტიას" - 9.

ნათია მსხილაძე

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი მზად არის, "პარლამენტს დაეხმოს" და დაეხმოს. როგორც ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი ინტეგრაციის დე ფაქტო კომიტეტი იუწყება, ამის შესახებ კოკოითმა ე.წ. საპარლამენტო არჩევნების საინფორმაციო ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. "პარლამენტში გასულ პარტიებს ხალხის დიდი ნდობა აქვთ და მთავრობას პრეზიდენტთან ერთად ჩამოაყალიბებენ," - განაცხადა კოკოითმა.

მისივე თქმით, საპარლამენტო არჩევნები გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდა. კოკოითმა კომენტარი გააკეთა უსაფრთხოების საკითხზე და აღნიშნა, რომ სა-

პარლამენტო არჩევნების მოსამზადებელ დღეებში ორი ტერაქტი აღიკვეთა, თუმცა ეს ინფორმაცია არ განხილულა, რათა ზედმეტი დაძაბულობა არ გამოეწვია.

რუსული მედიის ინფორმაციით, უცხოელმა დამკვირვებლებმა, რომლებიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებს ადვენებდნენ თვალს, სერიოზული დარღვევა ვერ დააფიქსირეს. რუსი ანალიტიკოსების აზრით, სამხრეთ ოსეთის საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო ნორმებთან სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შეფასებით, შეუძლებელია, რომ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ლეგიტიმურად იქნას მიჩნეული.

ბაზრქალაბა A2 გვერდზე

საპარლამენტო სესიის ჩატარების თარიღი კვლავ უცნობია

საპარლამენტო სესიის ჩატარების თარიღი კვლავ უცნობია. მიმდინარე კვირას ისევ კომიტეტების გასვლითი სხდომები ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება, პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს.

ბიუროს დღევანდელი სხდომაზე გასვლითი ფორმატით ჩატარდა, თუმცა ჩატარების ადგილი მედიისთვის უცნობია, რადგან დღევანდელი ბიუროც მედიის წარმომადგენლების გარეშე გაიმართა. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პარლამენტი ამ კვირის განმავლობაში ისევ შეზღუდული რეჟიმით გააგრძელებს მუშაობას. ჩატარდება კომიტეტების გასვლითი სხდომები. რაც შეეხება სესიის ჩატარებას, პარლამენტარები ვერ აკონკრეტებენ, თუ როდის იქნება შესაძლებელი სესიის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ სესია, რეგლამენტის თანახმად, მხოლოდ პარლამენტის შენობაში ტარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

"მოდრობა სამართლიანი საქართველო" საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში

საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში, სავარაუდოდ, "მოდრობა სამართლიანი საქართველოს" წარმომადგენლებიც იქნებიან.

ამის შესახებ გუშინ თავად პარტიის წარმომადგენელმა პეტრე მამრამე განაცხადა. მისი თქმით, "ამ პროცესში ყველა პარტიის წარმომადგენელი უნდა ჩაერთოს, რადგან შეუძლებელია შედეგის მიღწევა მხოლოდ საკნებით და პიკტირებით."

"ჩვენ ყველა დონეზე, ყველგან ჩავერთებით მუშაობაში, თუმცა ჩვენ არ გვაქვს ილუზია, ვიცით, რომ ავტორიტარული და კორუმპირებული რეჟიმი მხოლოდ დროის მოგებას და ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს. ამას ჩვენ არ დავუშვებთ," - განმარტა პეტრე მამრამე. **ჯი-ეიჩ-ენი**

კანადელი ჯარისკაცი კლინიკიდან განწერს

კანადელი ჯარისკაცი ლუდუშაურის სახელობის კლინიკიდან გუშინ განწერს.

ვაზიანის სამხედრო ბაზის პოლიგონზე კანადელი ჯარისკაცი წვრთნების დროს 31 მაისს დაშავდა. არსებული ინფორმაციით, მას ერთ-ერთი საჩვენებელი ოპერაციის დროს ასაფეთქებელი მოწყობილობა აუფეთქდა.

კანადელ ჯარისკაცს ოპერაცია მარცხენა ხელზე გაუკეთდა. ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. **ჯი-ეიჩ-ენი**

გურამ ჩახვამე ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" დატოვა

დეპუტატმა გურამ ჩახვამემ საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" დატოვა. ჩახვამე ვიღ თორთაძის საპარლამენტო ფრაქცია "ძლიერ საქართველოში" გადავიდა, რომელსაც ამიერიდან "ინტერპარტიული ფრაქცია ძლიერი საქართველო" ერქმევა.

ედუ-ს წარმომადგენელი აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად იმას ასახელებს, რომ მას ახალ ფრაქციაში საკუთარი აზრის გამოხატვის მეტი საშუალება მიეცემა.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტში უმცირესობისგან წარმოდგენილი სულ ორი ფრაქციაა. აქედან "ქრისტიან-დემოკრატები" ერთპარტიულია, ხოლო "ძლიერი საქართველო" - ინტერპარტიული. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოპოზიციურ სპექტრში სიახლეა მოსალოდნელი

უახლოეს მომავალში არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში შესაძლოა, ახალი პოლიტიკური გაერთიანება ვიხილოთ.

ამის შესახებ პარტია "თავისუფლების" ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განაცხადა. ბრეგაძის თქმით, "ახალ გაერთიანებაში შემავალი სუბიექტები აუცილებლად ეროვნულ ფესვებზე უნდა იყვნენ დაფუძნებულიები."

"ჩვენ ლტოლვა გვაქვს მხოლოდ იმ ოპოზიციური ძალებისკენ, რომლებიც ეროვნული ფასეულობების მატარებლები არიან. შესაბამისად, შესაძლოა, უახლოეს მომავალში სულ სხვა გაერთიანება შეიქმნას, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ ჩვენ უმუშალო კონსულტაციები ჯერ არ დაგვიწყია, მჭიდრო კავშირში კი რამდენიმე ოპოზიციურ ძალასთან ვიმყოფებით და მათთან სხვადასხვა საკითხებზე აქტიურ კონსულტაციებს ვმართავთ," - განაცხადა ბრეგაძემ.

რაც შეეხება იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც შესაძლოა, ახალ გაერთიანებაში ვიხილოთ, ბრეგაძის განცხადებით, წინასწარ ამის თქმა შეუძლებელია და ამას კონკრეტული ძალების სამომავლო ქმედებები გადაწყვეტს.

ამასთან, კონსტანტინე გამსახურდიას თანაგუნდელს უჭირს იმის თქმა, იქნება თუ არა ახალ გაერთიანებაში ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელის "მოდრობა სამართლიანი საქართველოსთვის". როგორც ბრეგაძე აცხადებს, ნოღაიდელთან შეხვედრა მხოლოდ ერთხელ გაიმართა და მაშინაც საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებსა და ქვეყნის საპარლამენტო მოდელზე გადასვლის შესაძლებლობას შეეხო. **პირველი**

საზონის შესაფარისი პროტესტი

პირველი გვირგვინი

მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციებზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ძალების 6-პუნქტიან განცხადებაში პირველი მოთხოვნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნაა, "ალიანსი საქართველოსთვის" წევრებმა განმარტეს, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები შეიძლება განცხადებაში აღნიშნული ნებისმიერი პუნქტიდან დაიწყოს.

კომენტარი "24 საათთან" საუბარში "საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის" ექსპერტმა კახა გოგოლაშვილმა პოლიტიკური პროცესის განვითარების შესახებ ვარიანტებზე ისაუბრა. მისი აზრით, "ოპოზიციისთვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყება და რაღაც კონსტ-

რუქციულ პოლიტიკურ პროცესში ჩართვა. იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება, რადგან აუცილებლად შენელება რადიკალური ტალღა. მან ვერ მიანღია იმ შედეგს, რასაც მიზნად ისახავდა რადიკალური ფრთა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საპროტესტო მოძრაობამ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი." გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიების უმეტესობა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდება. ამის ერთ-ერთ ნიშანია ის, რომ გოგოლაშვილი ოპოზიციური ძალების მიერ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ალასანიას ინიციატივით შექმნილ 6-პუნქტიან განცხადებას მიიჩნევს. მისი თქმით, "გარდა ამისა, ირაკლი ალასანიას თავიდანვე არ უქონდა კატეგორიული ტონი - ან ყველაფერი ან არაფერი. ამიტომ მოლაპარაკებების დროს შესაძლებელია პროგრესი იმ მიმართულებით, რომელიც ორივე მხარის-

თვის იქნება მისაღები." ევროპული კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელმა იმ პარტიების პოლიტიკური მომავალიც განიხილა, რომლებიც მოლაპარაკების დაწყებას არ ეთანხმებიან. მისი აზრით, თუკი ქვეყანაში პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური პროცესები შედარებით სტაბილურად განვითარდა, იმ პარტიების მარგინალიზაცია მოხდება, რომლებიც მოლაპარაკებების პროცესში არ ჩაერთვებიან. თუმცა, ექსპერტმა მათი პოპულარობის გაზრდაც არ გამორიცხა. "თუ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გაღვივდა და სხვა სახის საფრთხეებმა იჩინა თავი, ამ შემთხვევაში ეს მარგინალიზებული ჯგუფები ყოველთვის წამოვლენ წინ და უფრო გააქტიურდებიან," - განმარტა გოგოლაშვილი. მან ხელისუფლების პოზიციაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, მოლაპარაკებების თემები რაც უფრო სერიოზულად შემოვა საქართველოს პო-

ლიტიკურ ცხოვრებაში, მით უკეთესია მოქალაქეებისთვის. "პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება ნებისმიერი კრიზისის გარეშე მოილაპარაკონ გარკვეულ საკითხებზე და რაღაც პაქტი გააფორმონ. ამის გამო საჭირო არ არის ტერმინებზე აქცენტის გადატანა. თუკი ხელისუფლება იტყვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ან სახელმწიფოებრივი კრიზისია, მაშინ სრულიად ლეგიტიმური იქნება არჩევნების ჩატარების მოთხოვნა, თუმცა ხელისუფლება აღიარებს, რომ ქვეყანაში პრობლემებია და სტაბილურობას საფრთხე ექმნება. სწორედ ამიტომ ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს ოპოზიციასთან მოლაპარაკებების გაშეწყობას," - განაცხადა გოგოლაშვილი. თუმცა, მისი აზრით, კონსენსუსის მიღწევა ყველა თემაზე ვერ მოხდება და რამდენიმე თემა ოპოზიციამ შეიძლება გრძელვადიანი მოქმედების მიზნად აქციოს.

ფარსი ოკუპირებულ ტერიტორიაზე

სეთის საოკუპაციო ძალების სამხედრო პოლიგონის ტერიტორიაზე მორიგი ფარსი დაიდგა, რომელიც მარიონეტულმა რეჟიმმა ოკუპანტების დახმარებით განახორციელა. ამასთან, რუსეთმა თავის მარიონეტებს სულგრძელად დართო ნება, საარჩევნო უბნები რუსეთის ტერიტორიაზე გაეხსნათ, მათ შორის დედაქალაქშიც. "არჩევნების მეთვალყურე რუსეთის სამთავროს სტრუქტურებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა რუსული ხიშტის მკაცრი ზედამხედველობის პირობებში ჩატარებული ეს "საჩვენებელი" ღონისძიება შეაფასეს, როგორც შემდგარი საპარლამენტო არჩევნები. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია," - აცხადებს საგარეო უწყება. სამინისტროს განცხადებით,

ეთნიკური წმენდის პირობებში არჩევნებად ნოდებული უნიჭო სპექტაკლის დადგმით კრემლმა და მისმა მარიონეტებმა ჩვეული ცინიზით კიდევ ერთხელ აბუჩად აივდეს საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები. "გვსურს, იმედები გავუცრუოთ ამ იაფფასიანი წარმოდგენის ავტორებს და აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას არასდროს უღიარებია და არც აღიარებს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ოკუპაციის შედეგებს, მარიონეტული რეჟიმების ლეგიტიმურობას, რომ არაფერი ვთქვათ კრიმინალური რეჟიმების მიერ ჩატარებულ ყოველგვარ ე.წ. არჩევნებზე. ზემოაღნიშნულის დასტურად გამოდგება, თუნდაც, ევროკავშირის

თავმჯდომარეობის მიერ გაკეთებული შესაბამისი განცხადება," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში. ევროკავშირი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნების არც ლეგიტიმურობას აღიარებს და არც შედეგებს, - ამის შესახებ აღნიშნულია ევროკავშირის განცხადებაში. "მსგავსი არჩევნების ჩატარება საქართველოში ვითარების დარეგულირების მშვიდობიანი გზების ძიებიდან გადახვევის დამადასტურებელია," - ნათქვამია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩვენთვის განცხადებაში და ამასთან აღნიშნულია, რომ ევროკავშირი კვლავ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

პარლამენტი, შესაძლოა, ორპალატიანი გახდეს

ხარისხს, ადგილობრივი თვითმმართველობის როლს და რეგიონალიზმის პრინციპს ზრდის. ამადროულად, ორპალატიან პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი ძალიან სრულყოფილია და კანონპროექტების ნაჩქარევად მიღებას გამოიცილებს. ამასთან, პარლამენტი უფრო მოქნილი ხდება სახელისუფლებო შტოებს შორის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორპალატიანი პარლამენტის შემოღებას დასახელებული მხოლოდ ქვედა პალატის დათხოვნის უფლებამოსილე-

ბა ენიჭება," - განაცხადა დემეტრაშვილმა. როგორც საკონსტიტუციო კომისიის მომავალი ხელმძღვანელი განმარტავს, მისი ამ ინიციატივის გაზიარების შემთხვევაში, პარლამენტის ქვედა პალატა ანუ "რესპუბლიკური საბჭო" პროპორციული პრინციპით არჩეული 100 დეპუტატით დაკომპლექტდება, ხოლო ზედა, იგივე სენატთა პალატის დეპუტატთა საერთო რაოდენობა კი 50 მაჟორიტარი დეპუტატით განისაზღვრება. ამავდროულად, ავთანდილ დემეტრაშვილი მიიჩნევს, რომ

მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენის შესაძლებლობა უნდა მიეცეს როგორც პოლიტიკურ სუბიექტებს, ასევე საინიციატივო ჯგუფებს. დემეტრაშვილი დარწმუნებულია, რომ მისი წინადადებები ორპალატიანი პარლამენტის შესახებ, "რთულად გასატანი იქნება", რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრობლემებით არის განპირობებული, თუმცა საკონსტიტუციო კომისიის წევრების დარწმუნებას აუცილებლად შეეცდება. **პირველი**

გაზეთი "24 საათის" გამოცემის პუნქტი: რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარაშვილი, პაატა მუხამიძე.
რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფიო კილაშვილი (რეჟიმი), კახა ფარაშვილი (სპორტი). **რედაქციაში და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეივა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული მენეჯერი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

რუსული სატყუარა ბიორბადისბან

ლიბიხრი ავალიანი

იგორ გიორგაძე კვლავ პოლიტიკური განცხადებებით გამოდის და რუსულ მედიაში ვრცელ საპროგრამო სტატიას აქვეყნებს. ტერორიზმის ბრალდებით ძებნილი ქართულ საზოგადოებას მოუწოდებს, უარი თქვას დასავლურ არჩევანზე და რუსეთისკენ შემობრუნდეს. სანაცვლოდ, მისი მტკიცებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შორეული პერსპექტივა განსაზღვრება და ქვეყნის შემდგომი დეზინტეგრაციის საშიშროებაც მოიხსნება.

პეტერბურგელ ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძისგან განსხვავებით, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტობის ამბიცია ღიად გააცხადა, ძებნილი იგორ გიორგაძემ თავისი ვრცელი სამხრეთში სტატიის გზავნის დროს "იზვესტიას" ამჯერად მხოლოდ ახალი სამოქალაქო მოძრაობის - "საქართველო საზღვარგარეთ" - ლიდერის ამპლუაში გამოაქვეყნა.

როგორც გიორგაძე აღნიშნავს, მოძრაობა მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა "მობილიზებას" და "პოლიტიკურ გააქტიურებას" - რასაკვირველია, ქვეყანაში ხელისუფლების შესაცვლელად. რუსეთის მიერ შეფარებული ძებნილი ექს-მინისტრის აზრით, "საქართველოში ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ის ძალები, რომლებიც გაატარებენ არა უცხო ქვეყნების (ამერიკის ან რუსეთის), არამედ ქართულ ინტერესებს."

"ქართული ინტერესების გამტარებელი" გიორგაძე აგვისტოს ომზე პასუხისმგებლობას მთლიანად საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს და 2008 წლის 8 აგვისტოს "ჩვენი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთ ბნელ თარიღს" უწოდებს. მისი აზრით, "სამხედრო მარცხი და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა 18-წლიანი დამლეპველი პოლიტიკის შედეგია." კერძოდ, როგორც გიორგაძე აღნიშნავს, ქართველებს ეთნიკური ნაციონალიზმი და ლოზუნგი "საქართველო ქართველებისთვის", ტერიტორიის და აფხაზი და ოსი ხალხების დაკარგვად დაუჯდათ.

თუმცა, გიორგაძე იმასაც აღნიშნავს, რომ იგი "არასდროს დათანხმდება კრემლის გადაწყვეტილებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობის თაობაზე." ეს, როგორც ჩანს, კრემლსა და გიორგაძეს შორის ერთადერთი "უთანხმოებაა", ვინაიდან ძებნილი ექს-მინისტრი რუსეთის პრაქტიკულად ყველა ქმედებას ამართლებს. "რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, რუსეთი შექმნილი სიტუაციის მიხედვით მოქმედებდა. ის თბილისის რეჟიმის აგრესიას პასუხობდა და საკუთარი მოქალაქეები და მშვიდობისმყოფელები დაიცვა," - აღნიშნავს გიორგაძე.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ გახდნენ ამ ტერიტორიების მცხოვრებნი რუსეთის მოქალაქეები, გიორგაძე აღნიშნავს, რომ ეს

ადამიანები თავად იღებდნენ მოქალაქეობას, "რათა ქართველებისგან თავი დაეცვათ." შესაბამისად, ეს ფაქტიც საქართველოს სინდისზეა.

"იმისთვის, რომ არ დაეშვა ეთნიკური წმენდა, რუსეთმა, მისთვის ყველაზე მოკლე და საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე მტკივნეული გზა აირჩია," - წერს იგორ გიორგაძე.

"ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი? რუსეთმა, რომელმაც ოსების გენოციდი არ დაუშვა? თუ ქართული არმიის მთავარსარდალმა, რომელმაც მძინარე ცხინვალის დაბომბვის ბრძანება გასცა? ან ჩვენ ყველამ, ქართველმა ხალხმა, რომელმაც "ვარდების რევოლუციონერების" ხელი-სუფლებში მოსვლა დაუშვა?" - რიტორიკულ კითხვებს სვამს გიორგაძე.

მისი აზრით, 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ნეიტრალური კურსი რომ გაეტარებინა და ორი ზესახელმწიფოს კურსი დაეხალისებინა, "კავკასიის შვეიცარია" გახდებოდა.

გიორგაძე აღნიშნავს, რომ მომავალი ხელისუფლების პირველი საზრუნავი ქვეყნის მთლიანობის აღდგენა უნდა გახდეს, ეს კი "ისტორიული პერსპექტივის საკითხია" - საქართველომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აფხაზეთისა და ოსების წდობის დაბრუნებაზე უნდა იზრუნოს.

ექს-მინისტრის აზრით, დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფი "დასავლეთის მიერ მართული მარიონეტები" ამას ვერ შეძლებენ.

გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ რეჟიმის კომფორტული არსებობისთვის "ხალხის სულის განადგურება" გახდა აუცილებელი. შესაბამისად, მისი თქმით, ხელისუფლება ებრძვის მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს, ასევე გეგმაზომიერად ანადგურებს ვაზის კულტურას. იგორ გიორგაძის აღშფოთებას "თბილისის ცენტრში გვი-კლუბების გახსნაც" იწვევს.

"მე ვთავაზობ თანამემამულეებს, თავი დაანებონ ახალი მოკავშირეების ძებნას საქართველოდან ათასობით კილომეტრში, მიბაძონ წინაპართა მაგალითს და იმეგობრონ ღვთისგან ბოძებულ მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან," - წერს იგორ გიორგაძე.

"იმაში, რაც ჩვენს ხალხს ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოუვიდა, არც ოსები, არც აფხაზები და არც რუსები არ არიან დამნაშავენი, დამნაშავეები ჩვენ ვართ," - აცხადებს გიორგაძე და ქართულ საზოგადოებას ჩადენილი ცოდვების მონანიებისკენ მოუწოდებს, რადგან "ჩვენ, ქართველები, ტანკებით შევვარდით ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების სახლებში." მაგალითისთვის მას გერმანელი ერი მოჰყავს, რომელმაც ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა მოინანია.

იგი საზოგადოებას ამგვარი მონანიების "სუფთა პრაგმატულ დასაბუთებასაც" სთავაზობს - "ძალიან მაღალია იმის რისკი, რომ ქართული სახელმწიფოს

დაშლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთზე არ შეჩერდება." კერძოდ, გიორგაძე ახსენებს შესაძლო პრობლემებს არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, არამედ სამეგრელოშიც.

ამ კუთხეების სპეციფიკას იგი ისე დეტალურად განმარტავს, რომ შთაბეჭდილება იქმნება, მისი მიმართვის ადრესატი მხოლოდ ქართული საზოგადოება არ არის.

"საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრებისთვის რუსეთი უცხო დამპყრობელთაგან დამცველი იყო," თუმცა "მადლიერება პოლიტიკაში ხშირად ზედმეტიც ნებაა, ამიტომაც ყურადღება საკითხის პრაქტიკულ მხარეზე გავამახვილოთ," - წერს გიორგაძე და აღნიშნავს, რომ აფხაზები და ოსები მხოლოდ რუსეთს ენდობიან, შესაბამისად, მხოლოდ რუსეთს შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობა.

ამას კი, ექს-მინისტრის აზრით, ხელს უშლის საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა ნატო-ში ინტეგრაციისკენ. "მოვუნობ რა რუსეთთან მჭიდრო კავშირისკენ, მე ვხელმძღვანელობ არა რუსეთის, არამედ საქართველოს ინტერესებით," - აცხადებს გიორგაძე.

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ მოსკოვის მხრიდან პირველად არ ისმის მიწიწმენები, რომ თუ ქართველები "კარგად მოიქცევიან", სოხუმი და ცხინვალი "გადაიფიქრებენ".

რამდენიმე თვის წინ ასეთი მიწიწმენა სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა თავის ვრცელ სტატიაში გააკეთა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მონესრიგების შესაძლო გზებს მიუძღვნა. რასაკვირველია, ამგვარი მონესრიგების პირობად რეჟიმის შეცვლა და ნატო-სა და ევროინტეგრაციის გეგმებზე უარის თქმა სახელდება. სანაცვლოდ, ავტორის განმარტებით, შორეულ პერსპექტივაში სოხუმის და ცხინვალის ერთიან სახელმწიფოში დაბრუნების შანსი გაჩნდებოდა.

ამგვარ ტაქტიკას კრემლი მოლდოვასთან მიმართებაში წარმატებით იყენებს - მოსკოვმა არაერთხელ დადო პირობა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვა "კარგად მოიქცეოდა" ანუ უარს იტყოდა ნატო-ში ინტეგრაციის გეგმებზე და ნეიტრალიტეტს გამოაცხადებდა, დენტრისპირეთის კონფლიქტი, რუსეთის დახმარებით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით მოგვარდებოდა.

მოლდოვამ რუსეთის მოთხოვნები შეასრულა, თუმცა მოსკოვი თავისი პირობის მხოლოდ სიტყვიერი დადასტურებით შემოიფარგლებდა. მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასა და სეპარატისტებს შორის, რუსეთის შუამავლობით, დღემდე "წარმატებით მიმდინარეობს", ყოველგვარი პრაქტიკული შედეგის გარეშე.

როგორც ჩანს, დღეს ამგვარი სატყუარას "შემოგდებას" კრემლი საქართველოშიც ცდილობს.

ობამა-მედვედვი: საქართველო ძირითადია

პირველი გვირგვინი



როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის მეთაურმა, ხელი მოაწერა მედევედთან და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად.

ამ შეთანხმებით რუსეთი დათანხმდა ჯარების დაბრუნებას აგვისტომდე არსებულ ხაზებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რაც გულსხმობდა იმ ლოკაციებს, რომლებიც რუს სამშვიდობოებს ომამდე ეკავათ. ასევე შეთანხმებაში ჩაიღო ჯარების გაყვანა საქართველოს იმ ადგილებიდან, რომლებიც სეპარატისტული ტერიტორიების გვერდით მდებარეობს. არც ერთი არ არის შესრულებული. დაახლოებით ათი თვის წინ რუსულმა ჯარებმა მოახდინეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, ასევე მათი მიმდებარე ახალგორის რაიონის და სოფელ პერევის ოკუპაცია.

არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც უნდა მოითხოვოს ობამამ რუსეთისგან ამ ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება.

პირველი - ვინმემ რომც ურჩიოს ობამას, არ დაანდოს მკაცრი შეზღუდვები სამხრეთის მოლაპარაკებებზე ატმოსფეროს დასაძაბად, მაინც იქმნება გააცურების დიდი რისკი. მოლაპარაკებებზე და რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში მკაფიო საზღვრების დანერგვის გარეშე, ამერიკის ახალი პრეზიდენტი დიდ რისკზე მიდის, რათა თავი არ გადაეშვას უშიზო და ფოტოაპარატების წინ პოზირებულ დიპლომატიკაში, მიაბიჭურ მეგობრობასა და არაკომპენსირებულ კომპრომისებში.

ივლისში დაგეგმილ სამიტზე აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი, ახალგორი და პერევი უბრალოდ შეუმჩნეველი ქართული ტერიტორიები არ იქნება; ზემოთჩამოთვლილი ფუნდამენტური ტესტია იმისა, თუ რამდენად დაიცავს რუსეთი საერთაშორისო ნორმებს და აქვს თუ არა რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერას წინააღმდეგ მიმდინარეობს. მოკლედ, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში არის თუ არა რამე, რისი "გადატვირთვაც" ღირს. საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ასეა თუ ისე, საქართველოს შესახებ წინასწარმეტყველება კარგადაც რომ ახდეს, ობამას მაინც მოუწევს მედევედთან რთულ პირობებში ვაჭრობა. შეერთებულ შტატებსა და რუსეთს ნატო-ს გაფართოებასა და სარაკეტო თავდაცვაზე განსხვავებული მიდგომები აქვთ და მათი ხედვები არც ისე დაახლოებულია, როგორც ზოგიერთი ამერიკელი ანალიტიკოსი ირწმუნება, ირანის საკითხში თანამშრომლობის თუ ავღანეთისკენ ალტერნატიული გზების განვითარების არგუმენტების მომველიებით.

მოსკოვს არც გაუღენა აქვს თეირანზე და არც დიდად თანაუგრძობს მას, რათა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწიოს ირანის ბირთვული პროგრამის ოპონენტებს. ავღანეთში მედევედვი და პუტინი არ ემხრობიან ჯიჰადს და ისინი მხარს უჭერენ აშშ-ნატოს მცდელობას რადიკალური ისლამის შეკავებისთვის ცენტრალურ აზიაში, ვოლგის აუზსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. თუმცა, მათ თანაბრად არ მოსწონთ ამერიკის სახელმწიფო და ბედნიერად იგრძნობენ თავს, თუ ამერიკასა და თალიბებს შორის ბრძოლას ათწლებლების განმავლობაში იხილავენ.

ამის დაბადასტურებელი იყო მოსკოვის არასწორი გათვლა, გაქვეყნებინა ამერიკა ყირგიზეთიდან, მანასის უმნიშვნელოვანესი ბაზიდან. რუსეთი ითანამშრომლებს რიგ საკითხებში, მაგრამ არ სურს, ხელი შეუწყოს ამერიკული არტიერიის შენარჩუნებას ევრაზიის კონტინენტზე. ზემოთქმულის კარგად გააზრებით, ამერიკისთვის უმჯობესია, ითანამშრომლოს რუსეთთან შესაძლებლობის ფარგლებში ანუ არ უნდა დაუქვემდებაროს მოსკოვს თავის ინტერესი აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანში. ეს არის მეორე მიზეზი, რის გამოც ობამამ მედევედვს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება უნდა აძულოს.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანში დასავლური კარიბჭეა, რომელსაც შეუძლია ვაჭრობის კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, ვიდრე ნავთობი და ბუნებრივი გაზია. ჩვენ ამჟამად გვაქვს პერსპექტივა, რომ კასპიის ზღვა და ევრაზიის მუდგული მინა ჩრდილოატლანტიკურ სავაჭრო სისტემას დაუკავშირდეს, რომელიც საქართველოს შავი ზღვისპირა ქალაქ ბათუმთან დაკავშირდება გადართობაში. ვაჭრობასთან ერთად გახშირდება ხალხის მიმოსვლა, ასე რომ, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი შეიძლება იქცეს იდეების, ჩვენთვის ყველასთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პერსპექტივის ბილიკადაც.

ამავდროულად საქართველო იმ მიზნით, რომ ნატო-ს ავღანეთამდე ალტერნატიული გზის გახსნაში დაეხმაროს, ალიანსს თავისი ტერიტორია და ალტერნატიული შესატყვისა. ცხადია, ამერიკას ჯერ კიდევ გასაფორმებელი აქვს შეთანხმებები აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის რიგ ქვეყნებთან, რომლებზეც ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესი ძვეს პირდაპირი მნიშვნელობით, რუსეთის დახმარებით და არა რუსეთის შუამავლობით.

ამას კი მივყავართ მესამე და შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზამდე, თუ რატომ უნდა დაუჭიროს მხარი ობამამ საქართველოს მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრაზე - რეგიონში ამერიკის საუკეთესო მოკავშირე დემოკრატიული საქართველოა. ფაქტია, რომ საქართველო გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ იგი წინ მიიწევს. შესაძლოა, არც ისე სწრაფად, როგორც ქუჩის დემონსტრანტები აცხადებენ, მაგრამ თბილისის ქუჩებში მათი გაჭიანურებული ყოფილი იმას მიგვაწინაშე, რომ ქვეყანა მართლაც დემოკრატიულია. შემდეგ ნაბიჯზე გადაწყვეტილება მხოლოდ ქართველების მისაღება, მაგრამ პრეზიდენტ ობამას შეუძლია, მხარი დაუჭიროს მათ საერთაშორისო გარემო პირობების "გადატვირთვით", სადაც მათ დემოკრატიის განვითარების საშუალება ექნებათ.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მენეჯერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).

მთავრობამ "ქუჩის აქცია" შეაჯამა

ეკონომიკა 1.5 პროცენტით შემცირდება

თინა შავაძე

უნევეტი საპროტესტო აქციები და სამხედრო გადატრიალების მცდელობა - ეს ის მთავარი გამოწვევებია, რომლებმაც საქართველოს საერთაშორისო საქმიან წრეებში, მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში, არაპროგნოზირებადი ქვეყნის იმიჯი დაუმიკვირა. არსებული გამოწვევების დაძლევის მცდელობამ საქართველოს მთავრობის მხრიდან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მთავრობის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია: "სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკური ურთიერთობების კრიზისმა ჩვენ პრაქტიკულად მთლიანად დაგვაკარგინა წლის პირველი ნახევარი. არსებული ვითარება უარყოფითად აისახა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ბიზნესმენების ნდობაზე. ექსპორტისა და იმპორტის დონე და სანარმოთა ბრუნვები შემცირდა. ბევრმა ინვესტორმა ქვეყნის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების ნაცვლად ინვესტირების პროცესის გადავადება მოითხოვა. ვარაუდი იმისა, რომ III კვარტალში მოვიზიდავდით ინვესტიციებს და ეკონომი-

კა სრულფასოვნად ამუშავდებოდა, შეუძლებელი შეიქმნა. აღნიშნულის რეალიზება ამჟამად მხოლოდ III და IV კვარტლებშია შესაძლებელი. "ქუჩის პოლიტიკის" შედეგად მივიღეთ ის პროგნოზი, რომ 2009 წელს შესაძლოა ეკონომიკა შემცირდეს 1.5 პროცენტით. ეს შესაბამისად აისახება ყველა სხვა პარამეტრზე და განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლებზე, რომლებიც დაგეგმილ პარამეტრთან შედარებით ნაკლები იქნება".

მთავრობა კერძო კაპიტალის შემოსავალს ქვეყანაში თავისუფალი სავაჭრო ზონების მოწყობის შემდეგ ელოდებოდა. ამ მიზნით, მიმდინარე წელს უნდა ამოქმედებულიყო ბიზნესისთვის უაღრესად ხელსაყრელი, ახალი საგადასახადო რეჟიმები: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საერთაშორისო საფინანსო კომპანია და თავისუფალი სანაწობი.

როცა მთავრობის ახალი შემადგენლობა პარლამენტში დაამტკიცეს, მაშინ გაპრემიერებული ნიკა გილაურის მუშაობის მიზანი იგივე დარჩა - ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე. ამასთან გილაური შეეცდებოდა ორი ახალი გამოწვევის - ოკუპირებულ ტერიტორიაზე

საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და მიმდინარე მსოფლიო საფინანსო კრიზისის დაძლევის. მიმდინარე კრიზისის დასაძლევად მთავრობამ შემუშავა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი 2,2 მილიარდი ლარის ოდენობით, რომელიც სამ ნაწილად იყოფა. პირველია ბიუჯეტში გათვალისწინებული 1,450 მილიარდი ლარი და ის ქვეყნის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაიხარჯება; მეორე - 500 მილიონი ლარია, რომელსაც დონორები, სხვადასხვა პროექტებზე, დამოუკიდებლად დაიხარჯავენ; მესამეა - 250 მილიონი ლარი, რომელიც მომხმარებელს დარჩება საგადასახადო ტვირთის შემცირების ხარჯზე.

მაგრამ, აღნიშნული დაპირებიდან ხუთი თვის გასვლის შემდეგ, მთავრობის მიერ გავრცელებული განცხადებაში ნათქვამია: ბუნებრივია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული და საქართველოს მთავრობა ელოდა, რომ კრიზისი საქართველოზეც აისახებოდა. 2009 წლის I კვარტლის მიმდინარეობის შესაბამისად მთავრობა მოელოდა, რომ 2009 წლის ეკონომიკური ზრდა 1 პროცენტს მიაღწევდა.

აღნიშნული მოსაზრება დამყარებული იყო იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენისა და ადგილობრივი ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებით I კვარტალში მოხდებოდა ეკონომიკის საგრძნობი შემცირება, II კვარტალშიც ასევე ადგილი ექნებოდა მცირედ კლებას, თუმცა ფისკალური სტიმულირებისა და წინა წლებში გატარებული რეფორმების შედეგად მიღწეული უპირატესობის გამოყენებით მოხერხდებოდა უკვე II კვარტლიდან საინვესტიციო ნაკადების გააქტიურება და III, IV კვარტლების ზრდის შედეგად მთლიანად 2009 წელს დავასრულებდით მცირე, მაგრამ მაინც პოზიტიური ზრდით. აღსანიშნავია, რომ ამ სცენარს სრულიად იზიარებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები."

საქართველოში მილიონების შემოსვლა კერძო კაპიტალის სახით დასრულდა. ახლა ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა დონორებისგან მისაღებ დახმარებას შეუძლია. 4,5 მილიარდი დოლარიდან საქართველომ ხელი მოაწერა და 1,3 მილიარდი დოლარი გასულ წელს მიიღო. მიმდინარე წელს გრძელდება სა-

თანდო მუშაობა, რათა 2,5 მილიარდი დოლარის მისაღებად გაფორმდეს ხელშეკრულებები. მთავრობამ ამ მიმართულებით განეული მუშაობაც შეაჯამა და აღნიშნა, რომ გასული თვეების განმავლობაში დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან აქტიური შეხვედრების შედეგად მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაიზარდა, რაც ნიშნავს ეკონომიკის დამატებით სტიმულირებას ადრე დაგეგმილ პარამეტრებთან შედარებით. ბიუჯეტის ზრდის შესაძლებლობად მოიხარება გაზრდილი არასაგადასახადო შემოსავლები, სხვადასხვა საერთაშორისო დახმარებების სახით. მალე დასრულდება დონორებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების გამო გამოცხადებული ტენდერები და დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები. დღეიდან დაწყებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები, ბუნებრივია, შექმნის დამატებით სტიმულს ეკონომიკისათვის, რომელიც IV კვარტალში კიდევ უფრო გაძლიერდება. მსგავსი პერსპექტივისა და სტაბილური პოლიტიკური პროცესების პირობებში ქვეყანა შეძლებს გადალახოს არსებული ეკონომიკური სირთულეები.

რისკების მართვის სისტემა ბრანტი - 3 290 000 დოლარი მიიღო

თინა შავაძე

მიმდინარე ფინანსური კრიზისის პირობებში, ამერიკის მთავრობის კიდევ ერთი ფულადი საჩუქარი მონიტარული პოლიტიკის რისკებს დააზღვევს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (USAID) ეროვნული ბანკი 3 290 000 დოლარის გრანტს მიიღებს, რომელიც სისტემური ცვლილებების, მათ შორის საბანკო სექტორში მოდერნიზებული, თანამედროვე ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიის დანერგვას მოხმარდება. ეროვნულ ბანკში გუშინ აღნიშნული თანხის მიღებასთან დაკავშირებით დოკუმენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ და აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა მოაწერეს ხელი.

ამერიკის მთავრობისგან მიღებული ფულადი დახმარებით ეროვნულ ბანკს მიეცემა საშუალება, პროგრამული უზრუნველყოფა ანგარიშსწორების ინტეგრირებული

სისტემით მოახდინოს. კერძოდ, ბანკში დაინერგება ახალი, თანამედროვე ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც საოპერაციო რისკები პრაქტიკულად ნულამდე შემცირდება. საბანკო სექტორი კრიზისულ ვითარებაშიც კი შეძლებს უზრუნველყოს ფულის მასის მოძრაობა, ხელფასების, პენსიების გაცემა და სხვადასხვა ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

3 290 000 დოლარის გრანტი იმ ერთმილიარდიანი დახმარების ნაწილია, რომლის საქართველოსთვის გამოყოფის გადაწყვეტილებაც ამერიკის მთავრობამ აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მიიღო. ჯონ ტეფტის განცხადებით, გამოყოფილი მილიონები საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისკენ არის მიმართული და მსგავსი სახის დახმარებას ამერიკის მთავრობა მომავალშიც გააგრძელებს.

გრანტის მეშვეობით ეროვნული ბანკი ინვესტიციების მართვის სისტემას შეისყიდის და დანერგავს. გი-

ორგი ქადაგიძის განმარტებით, პროგრამა ორ კომპონენტს - საბუღალტრო აღრიცხვის სისტემასა და ინვესტიციების მართვის სისტემას მოიცავს. საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის მართვაში ბანკი უზრუნველყოფს. ინვესტიციების მართვის პროგრამა კი ძირითადად საერთაშორისო რეზერვების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების ავტომატიზაციას მოიცავს. მისი დანერგვის შემდეგ შემცირდება ინფორმაციის ხელთ მომზადების აუცილებლობა და, ასევე, ქალაქის დოკუმენტების ბრუნვა. ამის გარდა, პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება ინვესტიციები, განხორციელდება პორტფელის მართვა, რისკების შეფასება, ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მონიტარული პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს ეკისრება. მაგრამ გასულ წელს მოქმედ კანონმდებლობაში ზოგიერთი შეს-


წორება შევიდა, რომელთა გამოც ეროვნულმა ბანკმა დამოუკიდებლობის სტატუსი თითქმის დაკარგა. დღემდე გაურკვეველია, ორ მნიშვნელოვან საკითხზე - ლარის გაცვლით კურსსა და ინფლაციის დონის მარეგულირებელ პასუხისმგებლობა მხოლოდ ეროვნულ ბანკს ეკისრება თუ მთლიანად მთავრობას. "24 საათთან" საუბარში გიორგი ქადაგიძე ამბობს: "ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე (ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაციის დონის მაჩვენებელი) პასუხისმგებელი ეროვნული ბანკია. მაგრამ, სადარბაზოში თუ ერთი მოზინადრე საკუთარ სართულს ასუფთავებს, ხოლო დანარჩენები ანაგვიანებენ, საერთო შეფასება არის ის, რომ სადარბაზო დანაგვიანებულია. დაკისრებული მოვალეობის მიუხედავად, არ ვთვლი, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტობა პოლიტიკური თანამდებობაა, და ამიტომ, მიმდინარე მოვლენების შესახებ მყისიერ შეფასებებს არ ვაკეთებ."

ეროვნული ვალუტა - ლარი ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლოა. საქართველოში ლარის ნაცვლად დოლარის შემოღების თაობაზე რამდენიმე კვირის წინ სახელმწიფო კანცლარის ეკონომიკური რეკომენდების გუშინ ერთ-ერთი მრჩევლის - ნონა ყარალაშვილის მოსაზრება გავრცელდა. მისი პროგნოზით, დოლარის ეროვნულ ვალუტად გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს ინვესტორების ჯარი მოადგებოდა. მსგავს მეოცნებეთა შორის ეროვნული ბანკი არ აღმოჩნდა. პირიქით, დღის წესრიგში დადგა ლარის დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. ეროვნული ბანკი უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და მთავრობასთან კონსულტაციების გამართვას აპირებს. კონსულტაციები საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით დაიწყება და მისი მიზანი ეროვნული ბანკის ინსტიტუციური და ფუნქციონალური გაძლიერება იქნება.

მაისში თიბისი ბანკის ანაბრების პორტფელი 15 მილიონი ლარით გაიზარდა

ფინანსური კრიზისის მიუხედავად, მაისში თიბისი ბანკის ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელი 15 მილიონი ლარით გაზარდა და დღეისათვის 454 მილიონ ლარს შეადგენს. ანაბრების მოცულობის ასეთი მკვეთრი ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინა თვეების ტენდენციის გათვალისწინებით - 2009 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში ქართულ ბანკებში დეპოზიტების შემცირება აღინიშნებოდა, რაზედაც, ფინანსური კრიზისის გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ. ამ ტენდენციის საპირისპიროდ, მაისის თვეში თიბისი ბანკი ანაბრების მოცულობა

ერთბამად 3,4%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. დღეისათვის თიბისი ბანკის წილი მთლიანად ანაბრების ბაზარზე 30%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ თიბისი ბანკი მყარად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას და ანაბრების ბაზარს ყველაზე დიდ წილს ფლობს. ამავდროულად, ბანკი აგრძელებს შეანაბრებელ ყველაზე მასშტაბურ გათამაშებას - "გახდი მილიონერი თიბისი ბანკთან ერთად". ამ გათამაშების ფარგლებში, თიბისი ბანკში უკვე გაიხსნა 25 ათასზე მეტი ერთეული ახალი ანაბარი, რომელთა ჯამური მოცულობა 141 მილიონი ლარია.



200 ლარად შეფასებული დავა

დავა, რომელზეც ქვემოთ მოგიხსნათ, არც მეტი, არც ნაკლები, მეზობლის ნაკვეთში უნებართვოდ მოჭრილ ასწლოვან ვერხვის ხეს შეეხებოდა. სამეზობლო დავამ, რომელიც წლების განმავლობაში გავრძელდა, ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანცია მოიარა.


ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მანანა დარსაველიძემ ხარაგაულის სასამართლოში მეზობელს, ნაირა კილასონიას უჩივლა და მართლმსაჯულებას მოსთხოვა, მიღებული ზიანის სანაცვლოდ, მისი მოპასუხისთვის 500 ლარის გადახდა დაეკისრებინა.

მოსარჩელის განმარტებით, ერთ დღეს, როცა ის და მისი ოჯახის წევრები სახლში არ იყოფებოდნენ, მეზობელმა მის ეზოში დაუკითხავად მოჭრა ასწლოვანი ვერხვის ხე. სწორედ ეს გახდა მეზობლებს შორის სამოქალაქო დავის საგანი.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი განიხილა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა - 500 ლარის ნაცვლად, მოპასუხეს 200 ლარის გადახდა დაეკისრა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა მოპასუხე და სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი განუხილველი დატოვა. ამის შემდეგ, მოპასუხემ სააპელაციო პალატის განჩინება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ კი, სააპელაციო პალატის მოსაზრება გაიზიარა.

მოპასუხე მხარემ არც ამის შემდეგ დაყარა ფარ-ხმალი და



ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა.

"ჩემს მიერ წარმოდგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოება ყურადსაღებია და არსებითად ცვლის საქმის არსს. სწორედ ამიტომაც, საქმის ხელახალ განხილვას მოვითხოვ," - ასეთი იყო მოპასუხის განცხადების შინაარსი.

საქმე ისაა, რომ ამ საჩივარმაც სამივე ინსტანციის სასამართლო მოიარა.

რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა მოპასუხის

მიერ წარმოდგენილი განცხადებები, სადაც იგი სწორედ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე მიუთითებდა, არ დაკმაყოფილეს. ბოლოს საქმემ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა. უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა საქმის შესახებ და საჩივარში წარმოდგენილი გარემოება ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ჩათვალა. მეზობელს, რომელმაც მეზობლის ნაკვეთში ვერხვის ხე უნებართვოდ მოჭრა 500 ლარის ნაცვლად, 200 ლარის გადახდა დაეკისრა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ კატეგორიის სამეზობლო

დავები იმ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც სასამართლოები ძალზე ხშირად განიხილავენ. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია ამ კატეგორიის 118 საქმე, გადაწყვეტილება გამოვიდა 70, სარჩელი დაკმაყოფილდა 38 შემთხვევაში; 2007 წელს სასამართლომ განიხილა 142 სამეზობლო დავა, გადაწყვეტილება გამოვიდა 78 საქმეზე, 54 სარჩელი დაკმაყოფილდა; 2008 წელს განხილეს 118 სარჩელი, გადაწყვეტილება გამოვიდა 69 საქმეზე, დაკმაყოფილდა 38 სარჩელი.

წინასწარი ორთვიანი პატიმრობა ხელიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის ბრალდებით

ფურცელადის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაკავებულ ორ პირს - დავით კაპანაძეს და ლევან ლოლუაშვილს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

"მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, მხოლოდ ეს ორი პირი იყო დაკავებული. მათ ბრალი ხელიგნობისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის განხორციელების მუხლებით წაუყენეს," - აცხადებს ბრალდებულების ინტერესების დამცველი გელა ნიკოლაიშვილი.

შეგახსენებთ, რომ 29 მაისს ფურცელადის ქუჩაზე სამართალდამცველებსა და საპროტესტო აქციის მონაწილეებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, რადროსაც დაიჭრა პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი, ხოლო აქციის რამდენიმე მონაწილემ სხეულის მსუბუქი დაზიანებები მიიღო. **პირველი**

მელორ ვაჩნაძის ცემის გაქტზე გამოძიება დაიწყო

ოპოზიციის აქტივისტის მელორ ვაჩნაძის ცემის გაქტზე გამოძიება დაიწყო.

სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლითაა აღჭურვილი. ნაცემი მომიტინგე სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს. შემთხვევა 31 მაისს, კოლმეურნეობის მოედანზე მოხდა. თვითმხილველთა განმარტებით, მას ფიზიკურად 7 უცნობი პირი გაუსწორდა.

ის ამ დრომდე რესპუბლიკურ საავადმყოფოში რჩება. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

"აღნიშნულ ფაქტზე თბილისის პოლიციის ძველი თბილისის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით და დაზარალებულის სტატუსით დაკითხულია მელორ ვაჩნაძე, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არ იცნობს იმ პიროვნებებს, რომლებიც მას თავს დაესხნენ. მიმდინარეობს გამოძიება," - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. **ჯი-ეიჩ-ენი**

მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის თანამშრომლებმა საბაჟო-საკონტროლო გამშვებ პუნქტ "სადახლოზე" სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას 1973 წელს დაბადებული ნარიმან შამოიანი დააკავეს.

დაკავებული მიმდინარე წლის 28 მაისს ეჭვიანობის ნიშნებზე აზერბაიჯანის მოქალაქის, 1962 წელს დაბადებული შაჰვანად გასამოგონის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

თბილისის მთავარი სამმართველო გამოძიებას სსკ-ის 108-ე მუხლით აწარმოებს. **პირველი**

ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია

ორთაჭალაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ბალნეოლოგიური საავადმყოფოსთან ერთმანეთს მიკროავტობუსი და პატარა ზომის სატვირთო მანქანა შეეჯახნენ, რის შედეგად ორივე ამოტრიალდა.

მიკროავტობუსის რამდენიმე მგზავრი მსუბუქადა დაშავებული, ისინი ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზებს სამართალდამცველები ადგენენ. **პირველი**

გამართლებული მოქალაქის რეაბილიტაცია

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ზუგდიდელ ხვიჩა ბუკიას საქმე განიხილა. ყოფილი ბრალდებული სახელმწიფოსგან რეაბილიტაციასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

37 წლის ხვიჩა ბუკიას ბრალი საბრძოლო მასალების მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა-შენახვა-ტარებისათვის დაედო, თუმცა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის მასალები არასაკმარისად მიიჩნია და ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავი-

სუფლა. გამართლებული ბუკია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე და 228-ე მუხლებზე დაყრდნობით, რეაბილიტაციასა და შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოების მიერ უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმე-

დებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განიხილა და 21 მაისს გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ "უდავოდაა დადგენილი უკანონო საპროცესო მოქმედების შედეგად გამართლებული ხვიჩა ბუკიაზე მორალური ზიანის მიყენების

ფაქტი". თუმცა, საბოლოოდ, დაადგინა, რომ ბუკიას მოთხოვნა მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, იგი ზუგდიდის რაიონული პროკურატურის წერილობითი მოზოდინებით უნდა დაკმაყოფილდეს.

საკუთარი ინფორმაცია

კობა ოთანაძე სასჯელადსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანაშაულებებში გადაიყვანეს

მუხროვანის ამბოხის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი კობა ოთანაძე სასჯელადსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანაშაულებებშია გადაყვანილი.

როგორც ბრალდებულის ადვოკატი ონისე მებონია აცხადებს, ამ დროისათვის ოთანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ადვოკატის განმარ-

ტებით, ამ დრომდე 20 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ დაზარალებული მხარის სტატუსი არავისთვის მიუნიჭებია.

"20 მაისს ჩატარებულ გახმაურებულ სპეცოპერაციაზე გენერალური პროკურატურაში ორი კვირაა საქმე აღძრული. დღეს ვიყავი პროკურატურაში და დავაყენე რამდენიმე შუამდგომლობა, კერძოდ, ვითხოვდი შემთხვევის ადგილის დათვა-

ლიერებას, ტყვიების და ტანსაცმლის ამოღებას, რაც არ დამიკმაყოფილეს. ჩემთვის ყველაზე მეტად შემამოფოთებელი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ დაზარალებულად არავინ არის ცნობილი, მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი გია კრიალაშვილი მოკლულია და დანარჩენ ორს - კობა ოთანაძეს და ლევან ამირიძეს სხეულის მძიმე დაზიანებები აქვთ მიღებული," - აცხადებს ადვოკატი.

მისივე განმარტებით, გამოძიების ძირითადი მიზანია, რომ ადვოკატებმა არ მოითხოვონ დაზარალებულების - ოთანაძის და ამირიძის დაკითხვა, რადგან ისინი იქ მომხდარი მოვლენების ცოცხალი მონაწილეები არიან. ხელისუფლება ცდილობს, სპეცოპერაციის საქმესთან დაკავშირებით არავინ არ დაისაჯოს," - აცხადებს ადვოკატი.

პირველი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი იწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით ვარლამის ქა კაციტაძე.

სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

აბათა კრისტის მოტრფიალი სარიული მკვლელები

მაშველებმა მამაკაცის მტკვრიდან ამოყვანა დროულად მოახერხეს

მაშველებმა 30 წლის შოთა გოჩიტაშვილის მდინარე მტკვრიდან ამოყვანა დროულად მოახერხეს. გოჩიტაშვილი, რომელიც წინასწარი ინფორმაციით, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აბანოთუნის კლდიდან მდინარეში გადახტა. ის მოქალაქემ დაინახა და სამაშველო სამსახური გამოიძახა.

შოთა გოჩიტაშვილი სასწრაფო დახმარებამ ბარნოვის სახელობის კლინიკაში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. **პირველი**

პატიმარ არასრულწლოვანებს საჩუქრები გადასცეს

ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ესტუმრნენ. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" პატიმარ არასრულწლოვნებს მათ უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით საინფორმაციო ბუკლეტები გადასცა. საზოგადოებამ "ერისთავი და კომპანია" დაწესებულებაში კომპიუტერული კაბინეტი გახსნა. არასრულწლოვნებს კომპიუტერის შესწავლის საშუალება ექნებათ, რის შემდეგაც ისინი სპეციალურ სერტიფიკატებს მიიღებენ.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაჰინიძემ პატიმარ არასრულწლოვნებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცა. **მედიანიუსი**

მეთევზეებმა მდინარეში დაკარგული ბიჭი იპოვეს

მეთევზეებმა მდინარე კასპში 2 დღის წინ დაკარგული ბიჭი იპოვეს. 23 წლის ახალგაზრდა ბიჭი ორი დღის წინ ადიდებულ კასპში ცხენის გადასარჩენად შევიდა, რაც ვერ მოახერხა და თავად წაიღო ადიდებულმა მდინარემ.

მაშველები მას ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. გარდაცვლილი მდინარეში მეთევზეებმა შენიშნეს. **პირველი**

კოკოთი აცხადებს

ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოთი აცხადებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველებმა "რესპუბლიკაში არჩევნების ჩაშლისკენ მიმართული ორი ტერორისტული აქტი აღკვეთეს".

კოკოთის თქმით, აფეთქება ცხინვალის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში არჩევნების დღეს უნდა მომხდარიყო. მისივე ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ღონისძიებების გამო ორივე აფეთქების თავიდან აცილება და დროული აღკვეთა მოხერხდა.

ეს განცხადებები ოს სეპარატისტთა ლიდერმა ცხინვალში მდებარე ე.წ. საერთაშორისო პრესცენტრში გააკეთა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ომარ ქუცნაშვილის საქმე სააპელაციო სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლო დღეს პროფესორ ომარ ქუცნაშვილის საქმის განხილვას დაიწყო.

მიმდინარე წლის 19 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ომარ ქუცნაშვილი დამნაშავედ ცნო ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის და საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენებაში და თავისუფლების ოთხი წლით აღკვეთა მიუსაჯა.

"სახალხო დამცველის აპარატმა ზედმინევიით შეისწავლა ომარ ქუცნაშვილის საქმე და აცხადებს, რომ გამოძიება წარმართა მიკერძოებულად, ცალმხრივად და არაობიექტურად, რითაც ქუცნაშვილის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება," - განმარტავენ სახალხო დამცველის აპარატში.

ომარ ქუცნაშვილი 2008 წლის 10 ივლისს დააკავეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ომარ ქუცნაშვილმა ჩაიდინა თავის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სხვისი მოძრავი დიდი ოდენობით ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; მანვე არაერთგზის ჩაიდინა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის და საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გასაღება. **პირველი**

ირანელმა სამართალდამცველებმა სერიული მკვლელები დააკავეს. "ეს არის ქვეყნის ისტორიაში პირველი შემთხვევა - სერიული მკვლელები მდებარეობითი სქესის აღმოჩნდა," - აცხადებენ ირანელი პოლიციელები. მათივე განცხადებით, მანიაკი ქალი ავტო კრისტის ნაწარმოებების სცენარის მიხედვით მოქმედებდა და დანაშაულის კვალს არსად ტოვებდა.

როგორც გაირკვა, 32 წლის მახინმა სიცოცხლეს ხუთი ქალი და ერთი მამაკაცი გამოასალმა. სამართალდამცველების განცხადებით, სერიულმა მკვლელებმა განაცხადებ, რომ ყოველთვის იზიდავდა ავტო კრისტის ნაწარმოებები და მკვლელობის სცენარს სწორედ მისი წიგნებიდან იბარებდა.

მანიაკი ქალი მსხვერპლს ყოველთვის წინასწარ, მეჩეთში ლოცვის დროს ირჩევდა, უახლოვდებოდა მას და ლოცვის დასრულების შემდეგ სახლამდე მიყვანას სთავაზობდა. მკვლელები თანამგზავს ავტომანქანაში ხილის წვენს სთავაზობდა, რომელშიც წინასწარ საძილე საშუალება ჰქონდა ჩაყრილი. მას შემდეგ, რაც წაცნობი გონებას დაკარგავდა, მანიაკი მას ხელებით გუდავდა, მოკლულს ძარცვავდა და დანაშაულის კვალს დაფარავდა.



ზრუნავდა. მკვლელებს ცხედარი მანქანით მიუვალ ადგილზე მიჰქონდა და იქ ტოვებდა.

ერთ შემთხვევაში, სერიულ მკვლელს სცენარის შეცვლა მოუწია. საქმე ისაა, რომ საძილე საშუალება, რომელიც მან ახალ ნაცნობს ხილის წვენში ჩაუყარა, სუსტი აღმოჩნდა და მსხვერპლს გონება არ დაუკარგავს. მახინი იძულებული გახდა, სხვა ზომისთვის მიემართა - გაბრუნებული ქალი მან ბლაგვი საგნით სასიკვდილოდ სცემდა.

პოლიციელების განცხადებით, მანიაკმა ქალმა ოთხი მკვლელობა აღიარა, რომლებიც 2009 წლის იანვრის შემდეგ ჩაიდინა.

"მას პირადი მოტივი ამოძრავებდა - ფული სჭირდებოდა. როგორც თავად განაცხადა, 25 ათასი დოლარი ვალი ჰქონდა. ამ ფულს კი მოკლულებისთვის წართმეული ძვირფასეულობის გაყიდვით შოულობდა," - აცხადებენ ირანელი სამართალდამცველები. ცნობილია, რომ მწერალ ავტო კრისტის დეტექტივეები ირანში დიდ პოპულარობით სარგებლობს.

"ამ ნაწარმოებების მთელი ხიბლი ის არის, რომ მასში ისეთი დანაშაულებია აღწერილი, რომლის გახსნაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია," - განუცხადა გამოძიებ-

ლებს სერიულმა მკვლელმა.

"მახინს ფსიქიკური აშლილობა აქვს. როგორც გაირკვა, ბავშვობაში მან სერიოზული სულიერი ტრავმა - დედობრივი სიყვარულისა და მზრუნველობის ნაკლებობა განიცადა. დავადანეთ, რომ ის მსხვერპლს ინტუციით ეძებდა და არჩევდა ისეთ ქალებს, რომლებიც დედამისს რალაცით ჰგავდნენ," - ასეთ კომენტარებს აკეთებენ გამოძიებლები.

სერიული მკვლეელი სრულიად შემთხვევით დააკავეს. საქმე ისაა, რომ მახინის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციას 60 წლის ქალმა მიმართა და განაცხადა, რომ ახალ ნაცნობს, რომელმაც მას სასახლეში წაყვანა შესთავაზა, ავტომანქანიდან გადმოუხტა, რადგან მისი ქცევა საეჭვოდ მოეჩვენა.

შემინებულმა ქალბატონმა პოლიციელებს საეჭვო ნაცნობის გარეგნობა აღუწერა და მისი ავტომანქანის ფერი და მარკა დაასახელა. სამართალდამცველებმა ყველა იმ ავტომანქანის მძღოლი ქალი შეამოწმეს, რომლებიც განმცხადებლის აღწერილობას ემთხვეოდა, თუმცა, მის კვალს ვერ მიაგნეს. დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე, მახინმა მორჩაობის წესები დაარღვია, რის გამოც ის დააჯარიმეს. სწორედ ეს შემთხვევა გახდა სერიული მკვლელის კვალზე გასვლის საფუძველი.

საკონსტიტუციო დავა ომის დროს გაცვლილი კონაზისტვის

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ, ბოსნია-ჰერცეგოვინას მსგავსად, რამდენიმე ომი ვადაიტანა, რის გამოც, დღემდე საკუთარი სამშობლოში თუ სხვა ქვეყნებში რამდენიმე ათასი ადამიანი დევნილის თუ ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს. თუმცა, დღეს თუ ხვალ ეს ადამიანები საკუთარი სახლებს უნდა დაუბრუნდნენ, რომელთა დიდ ნაწილში უკვე სხვა ადამიანები ცხოვრობენ.

თავისთავად ცხადია, მომავალში კერძო საკუთრების დაბრუნებისთვის ბევრს სამართლებრივი დავაც მოუწევს. ეს გზა ბოსნია-ჰერცეგოვინაშიც გაიარა, სადაც ამგვარ დავებზე სასამართლო პრეცედენტებიც არსებობს. ესენი კი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ევროპის ქვეყნებისთვის სამაგალითო გადაწყვეტილებებზე არის აღიარებული.

ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ს.ზ-ს სარჩელი, სადაც მომჩივანი მიუთითებდა, რომ მან ომის პერიოდში პრივედორში ბ.ვ-სთან დადო საკუთრების გაცვლის კონტრაქტი. ამ კონტრაქტის თანახმად, ბ.ვ-მ თავისი ქონება, რომელიც ხორვატიის კუნძულ ბრაკზე მდებარეობდა გაუცვალა ს.ზ-ს.

ხელშეკრულების გაფორმებიდან ცოტა ხნის შემდეგ, მომჩივანმა წამოიწყო პროცესი პრივედორის მუნიციპალური სასამართლოში და ითხოვდა გაცვლის კონტრაქტის გაუქმებას. იგი ამტკიცებდა, რომ კონტრაქტი გააფორმა მუქარით და არ იყო მისი მხრიდან ნებაყოფლობითი აქტი.

მუნიციპალურმა სასამართლომ ს.ზ-ს საჩივრი არ დააკმაყოფილა და მას ოჯახთან ერთად პრივედორის სახლის დატოვება უბრძანა. სასამართლო დადგენილებით, სახლი ბ.ვ-ს 15 დღის ვადაში უნდა გადასცემოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომჩივანს ძალადობრივი გამოსახლებით დაემუქრა.

ს.ზ-მ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ბანია ლუკას უმაღლეს სასამართლოში და სპრსკ-ის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, რომლებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს.

შედეგები მოეყენებია მომჩივანისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ ბინისა და საკუთრების უფლების დაცვის დაკარგვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს უძრავი ქონების გაყიდვას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს "ნებაყოფლობით გარიგებად" და რომლის წამდგელობაც აღიარებულია კანონის მიერ.

სასამართლოს მსჯელობის თანახმად, გაყიდვის ნებაყოფლობითი ხასიათი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ბევრ შემთხვევაში: თუ ეს მოხდა საჩქაროდ ან გამყიდველი იყო ძლიერი ზენოლის ქვეშ ან სერიოზულ საფრთხეში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მართალია, ს.ზ-ს საქმეში არავინ ამტკიცებდა, რომ ბ.ვ. მომჩივანს ემუქრებოდა ან სხვაგვარად აიძულა გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება, მაგრამ არსებობდა სხვა გარემოებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო. კერძოდ, სასამართლომ შენიშნა, რომ სახლი, რომელიც მომჩივანმა გადაცვალა ბ.ვ-ს ქონებაში, იყო ადგილი, სადაც იგი ცხოვრობდა მთელი ცხოვრება და რომლის მიმართაც მას ჰქონდა განსაკუთრებული მიზიდულობა. ჩვეულებრივ გარემოებებში იგი ალბათ არ მოისურვებდა სახლის დატოვებას, რათა საცხოვრებლად წასულიყო დაშორებულ ადგილას, რომელთანაც არ გააჩნდა რაიმე განსაკუთრებული კავშირი. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრაკში სახლს მნიშვნელოვნად დაბალი ფასი ჰქონდა, ვიდრე პრივედორში, ამიტომ აშკარა

იყო, რომ გაცვლის ხელშეკრულება მომჩივანისთვის არახელსაყრელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

"ყველა ამ გარემოების გამო კონტრაქტი არ არის ნორმალური გარიგება, რომელიც განხორციელდებოდა ჩვეულებრივ გარემოებებში. უფრო მეტიც, ვინაიდან გარიგება შედგა ომის პირობებში, სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ბ.ვ-მ იცოდა მომჩივანის რთული მდგომარეობა და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მომჩივანი ბინის გაცვლაზე დათანხმდებოდა," - აღნიშნულია ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ ზოგადი ჩვეულებრივი ხელშეკრულებისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის კონსტიტუციის მიზანი იყო ეთნიკური წმენდის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს. ამიტომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება მათი წარმოშობის ადგილზე, ანუ ძველ სახლებში.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა: **"ვინაიდან, ს.ზ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, ხოლო ხელშეკრულების გაფორმების დროს ბოსნია-ჰერცეგოვინას უმეტეს ნაწილში ეთნიკური წმენდა მიმდინარეობდა, ამიტომ ასეთ გარემოებებში კონტრაქტის განხორციელება არ შეესაბამებოდა ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუციას".**

ერევნის მერის არჩევნები მმართველმა პარტიამ მოიგო

ივა პილაკაძე



AFP, 2009

კვირას სომხეთის დედაქალაქ ერევანში არჩევნები ჩატარდა, რომელზეც უნდა არჩეულიყო მუნიციპალიტეტი - ერევნის უხუცესთა საბჭო და შესაბამისად ქალაქის მერიც. აქამდე ერევნის მერი ინიშნებოდა. არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდა. კანონის თანახმად, თუ რომელიმე პარტია ხმების უმრავლესობას მოიპოვებდა, მისი სიის პირველი ნომერი ავტომატურად ხდებოდა ქალაქის თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერი მუნიციპალიტეტს უნდა აერჩია.

ამ არჩევნებს ქვეყნის მომავლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ის ადგილობრივი არჩევნების რანგიდან გამოვიდა და პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა ბლოკმა - "სომხეთის ეროვნულმა კონგრესმა" მერის თანამდებობაზე ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი დაასახელა. ერევანში ლამის ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს, პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა კი შარშანდელ არჩევნებზე ნახევარზე ცოტა მეტი ხმა მიიღო. თუმცა "სასწაული" არ მოხდა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრებული "ტრადიცია" არ დაირღვა - არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო მმართველმა "რესპუბლიკურმა პარტიამ". მათ ერევნის უხუცესთა 65-კაციან საბჭოში 40 მანდატზე მეტი მოიპოვეს, ერევნის მოქმედმა მერმა გაგიკ ბეგლარიანმა კი, რომელიც სიის პირველი ნომერი იყო, შესაბამისად თანამდებობა შეინარჩუნა.

სულ არჩევნებში მონაწილეობდა 6 პარტია და ერთი ბლოკი. საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით, პირველი ადგილი დაიკავა სომხეთის "რესპუბლიკურმა პარტიამ" - 47,3 პროცენტი, მეორე ადგილზე გავიდა პარტია "აყვავებული სომხეთი" - 22,7 პროცენტი, მესამეზეა ლევონ ტერ-პეტროსიანის ბლოკი "სომხეთის ეროვნული კონგრესი" - 17,4 პროცენტი. შემდეგ მოვიდა: პარტია

"კანონიერების ქვეყანა" - 5,2 პროცენტი, სომხეთის რევოლუციური ფედერაცია "დამნაცუთიუნი" - 4,7 პროცენტი, სახალხო პარტია - 2,2 პროცენტი, "სომხეთის მუშათა სოციალისტური პარტია" - 0,5 პროცენტი. შესაბამისად, კანონით დაწესებული შედეგით, პარტია ბარიერი მხოლოდ სამმა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა. საარჩევნო კომისიის საბოლოო ოქმს რვა წევრიდან ერთმა (6 წევრი ხელისუფლებას წარმოადგენს), ოპოზიციური პარტია "მემკვიდრეობის" წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა. სხვათა შორის, პარტიები "აყვავებული სომხეთი" და "კანონიერების ქვეყანა" ქვეყნის მმართველ კოალიციაში შედიან, თუმცა ერევნის მუნიციპალიტეტის არჩევნებში ცალკე-ცალკე გამოსვლა გადაწყვიტეს. პარტია "დამნაცუთიუნი" კი მმართველი კოალიციიდან ოპოზიციაში, სულ რაღაც, თვეანახვის

წინ გადავიდა - მმართველ გუნდთან საგარეო პოლიტიკის საკითხებში (თურქეთთან ურთიერთობა) უთანხმოების გამო. წინასწარჩევნო პერიოდში ოპოზიცია, პირველ რიგში კი სომხეთის ეროვნული კონგრესი ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკურ საკითხებზე და ერევნის მერის თანამდებობის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. მმართველმა პარტიამ ამ თემაზე დისკუსიაში შესვლა საერთოდ არ ისურვა, ისინი მერის თანამდებობის პოლიტიკურ მნიშვნელობას საერთოდ უარყოფდნენ და ყურადღებას ამახვილებდნენ სოციალურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი ქალაქის დასუფთავებასა და კეთილმოწყობაზე. ამ თვალსაზრისით მოსახლეობის გულის მოსაგებად მათ წინასწარჩევნო პერიოდში აქტიურად იმუშავეს და ბევრგან დააგეს ასფალტი, გააუმჯობესეს ქალაქის განათება. ეს რაც შეეხება

ოფიციალურ და კანონიერ მხარეს. იყო კანონის ამკარა და უხეში დარღვევებიც, როგორც წინასწარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს. მრავლად არის დაფიქსირებული ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები, ბევრ უბანში დარღვეული იყო ხმის მიცემის საიდუმლოება (ჯიხურების არასწორი განლაგების გამო), არჩევნების წინა დღეებში საარჩევნო კომისიამ თვითნებურად შეცვალა კანონი და ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება მისცა ერევანში დისლოცირებულ სამხედროებს, რისი უფლებაც აქამდე მათ არ ჰქონდათ. თუ ვის მისცემდნენ ისინი ხმას, ძნელი გამოსაცნობი არ არის. არჩევნების დღეს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხალხი სხვა ქალაქებიდან ავტობუსებით ჩამოიყვანეს (?). იყო ძალადობის, მათ შორის ყურნალისტების ცემის ფაქტებიც. ამაზე საუბრობენ როგორც ოპოზიციური პარტიების წარმო-

მადგენლები, ასევე დამკვირვებლები და სახალხო დამცველიც.

ქვეყანაში მყოფმა საერთაშორისო დამკვირვებლებმა, კერძოდ ევროსაბჭოს ადგილობრივი და ტერიტორიული ხელისუფლების კონგრესის მისიამ განაცხადა, რომ არჩევნების საერთო ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო და ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა, თუმცა იყო მთელი რიგი დარღვევებიც, რომელსაც მისია თავის საბოლოო დოკუმენტში ასახავს და ოქტომბერში გამოაქვეყნებს.

ოპოზიციური პარტიების და უპირველესად "სომხეთის ეროვნული კონგრესის" აზრით, არჩევნებს არაფერი საერთო არ ჰქონდა დემოკრატიათა. კონგრესის კოორდინატორმა ლევონ ზურაბიანმა ჯერ კიდევ 31-ში სალამოს, არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ჩაატარა მორიგი "კრიმინალური არჩევნები". მისი სიტყვებით, ძალიან ბევრი იყო მოსყიდვის შემთხვევა. "სახალხო პარტიის" წარმომადგენელ გრიგორ არუთიუნიანის სიტყვებითაც "ცალსახად ჩანდა, რომ ქალაქშიც და ქვეყანაშიც სიტუაციას კრიმინალური ელემენტები აკონტროლებენ."

ერევანში ხალხის წინასწარ განწყობასაც ეტყობოდა აპათია არჩევნების მიმართ ("24 საათი" ინფორმაციის საკუთარი წყაროებითაც სარგებლობს). ხალხიდან ბევრი ფიქრობდა, რომ ერევნის მერი, სავარაუდოდ, შეინარჩუნებდა თანამდებობას. აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ თავის დროზე ლევონ ტერ-პეტროსიანი მაინცდამაინც პოპულარული პრეზიდენტი არ ყოფილა, განსაკუთრებით თავისი მმართველობის მეორე ვადის განმავლობაში და როცა ის შიდა შეთქმულებით გადააყენეს, ამას ხალხში რაიმე სერიოზული პროტესტი არ გამოუწვევია. ამის მიუხედავად და მით უმეტეს ქვეყანაში მის შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, დღეს მისი ბლოკის 17 პროცენტი, თან - ერევანში, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვოდ გამოიყურება.

ბრაზილიის სანაპიროებთან გაუჩინარებულ თვითმფრინავს ეძებენ

მარიკა იახვილი

ავიაკომპანია "ეარ ფრანსის" სამგზავრო თვითმფრინავი ანტლანტის ოკეანის თავზე, ჰაერში გაუჩინარდა.

ფრანგული ავიალაინერი "ეარბას A-330-200", რომელსაც 216 მგზავრი გადაჰყავდა, რიის რიო დე ჟანეიროდან პარიზის მიმართულეობით ასრულებდა.

ბრაზილიის სადისპეტჩერო სამსახურების ცნობით, თვითმფრინავთან კავშირი მისი აფრენიდან მალევე გაწყდა.

"ეარ ფრანსის" წარმომადგენელთა ცნობით, გრინვიჩის დროით 2:14 საათზე პილოტებმა მათ შეატყობინეს, რომ თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში მოხვდა, შედეგ კი მიიღეს შეტყობინება ელექტროსისტემაში მომხდარი მოკლე ჩართვის შესახებ. მოგვიანებით თვითმფრინავი რადარებიდან საერთოდ გაუჩინარდა და ამ დრომდე უცნობია, რა ბედი ეწიათ მის მგზავრებს.

ლაინერის ბორტზე, რომელიც



დაკარგული ლაინერის მგზავრთა ნათესავები ახალი ინფორმაციის მოლოდინში

პარიზში გრინვიჩის დროით 9:10 საათზე უნდა ჩაფრენილიყო, 216 მგზავრი და ეკიპაჟის 12 წევრი იმყოფებოდა. მგზავრებს შორის ერთი ჩვილი, შვიდი ბავშვი, 82 ქალი და 126 მამაკაცი იყო.

პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის წარმომადგენლის განცხადებით, თვითმფრინავს შესაძლოა რადიოგადამცემის პრობლემები შეექმნოდა.

აეროპორტში კრიზისული ცენტრი შეიქმნა.

ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა თვითმფრინავის გაუჩინარება დადასტურეს და განაცხადეს, რომ ამჟამად მისი ძებნა ქვეყნის სანაპიროებთან მიმდინარეობს.

საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრმა ჟან ლუი ბორლომ თვითმფრინავის გატაცება გამორიცხა და განაცხადა, რომ მის ბორტზე სანვა ვი უკვე აღარ უნდა იყოს.

მომხდარის გამო ღრმა შემფოთება გამოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და დეტალური გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა.

AFP, 2009

ბრალდებათი ობამას წინააღმდეგ

მარიკა იაშვილი



AFP, 2009

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გასულ შაბათს ცოლს საარჩევნო კამპანიის დროს მიცემული პირობა შეუსრულა - ბროდვეიზე თეატრში წაიყვანა, მანამდე კი სადილზე დაპატიჟა. თუმცა ამერიკის პირველი პირის მხრიდან ცოლისთვის მიცემული პირობის შესრულებას მის მიმართ სერიოზული ბრალდებებიც მოჰყვა. ამ საღამოს გატარებაზე დახარჯული თანხით მასმედია და ობამას პოლიტიკური ოპონენტები დაინტერესდნენ.

პრესის მონაცემებით, თეატრის ბილეთები პრეზიდენტმა 190 დოლარად თავისი ფულით იყიდა, მაგრამ ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს პირველი წყვილის რომანტიკული მოგზაურობა 72 ათასი დოლარი ღირდა. "დეილი მილის" ინფორმაციით, სწორედ ეს თანხა დაიხარჯა სამ თვითმფრინავზე, ორ ვერტმფრენსა და ავტომობილზე, რომლებიც პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ თეატრამდე მისასვლელად გამოიყენეს.

ცნობილი გახდა, რომ ეს იყო შემთხვევა, როდესაც ობამას სხვა გზა არ ჰქონდა - მიშელს მან ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს მისცა პირობა, რომ, როდესაც ყველაფერი დასრულდებოდა, ერთად ივანხმებდნენ, შემდეგ კი ბროდვეიზე თეატრში წაივლიდნენ. ამგვარად გასულ შაბათს პრეზიდენტმა ბავშვებთან

რესპუბლიკელებმა პრეზიდენტი გადასახადის გადამხდელთა თანხების არაეკონომიურად ხარჯვაში დაადანაშაულეს

დასარჩენად ძიძა მიიწვია, მიშელმა მოკრძალებული შავი კაბა ჩაიცვა და წყვილი ნიუ-იორკში გაეგზავრა.

პრესის ინფორმაციით, თეატრ ბელასკოში ოგიუსტ უილსონის

სპექტაკლზე "Joe Turner's Come and Gone," ერთი ბილეთი 100 დოლარზე ცოტა ნაკლები ღირდა. თეატრში მისვლამდე წყვილმა უესტვილიჯში, რესტორან "ბლუ ჰილში" ივანხმდა.

მასმედიის ცნობით, ნიუ-იორკში ჩასასვლელად პრეზიდენტს სამი თვითმფრინავი დასჭირდა - ერთი თავისთვის და მეუღლისთვის და კი-

დეე ორი მცველების, თანაშემწეების და რეპორტიორების გადასაცვანად. გარდა ამისა, ბარაკმა და მიშელმა ორჯერ გამოიყენეს ვერტმფრენები - ერთხელ ვაშინგტონში, თეთრი სახლიდან აეროპორტამდე მისასვლელად, სადაც მათ თვითმფრინავი ელოდათ და მეორედ ნიუ-იორკში ჯონ კენედის აეროპორტიდან მანჰეტენამდე მისასვლელად.

იმისთვის, რომ პრეზიდენტი და მისი ამაღლა თეატრამდე დროულად მისულიყვნენ, პოლიციელებმა მოძრაობა გადაკეტეს. ტრანსპორტისა და უსაფრთხოების ხარჯები მთლიანად თეთრმა სახლმა აანაზღაურა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წყვილი ნიუ-იორკში არა თავისი ბოინგ 747-ით, არამედ ბევრად პატარა თვითმფრინავით - Gulfstream-ით გაფრინდა.

ობამას წყვილის მოგზაურობამ "რესპუბლიკელთა მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მათ პრეზიდენტი გადასახადის გადამხდელთა თანხების არაეკონომიურად ხარჯვაში დაადანაშაულეს. "თუკი მან თეატრში წასვლა გადაწყვიტა, რით არის ცუდი საპრეზიდენტო ლოჯა კენედი-ცენტრში?" - განაცხადა "რესპუბლიკური პარტიის" ეროვნული კომიტეტის პრესსპიკერმა გვილ გიტჩომ.

ობონენტებმა პრეზიდენტი იმაშიც დაადანაშაულეს, რომ ის მაშინ ერთობა, როდესაც ამერიკული საავტომობილო გიგანტი "ჯენერალ მოტორსი" თავისი გაკოტრების გამოცხადებას აპირებს.

იარაღის შემცირების საკითხზე რუსულ-ამერიკული კონსულტაციები დაიწყო

მარიკა იაშვილი

სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ახალ რუსულ-ამერიკულ ხელშეკრულებაზე მუშაობის მეორე რაუნდი დაიწყო. ჟენევაში ორშაბათს დაწყებული კონსულტაციები ორ-სამ დღეს გაგრძელდება.

რუსმა და ამერიკელმა სპეციალისტებმა სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ საგნობრივი მოხსენება რუსეთ-ამერიკის სამიტამდე უნდა მოამზადონ, რომელიც ივლისის დასაწყისში ჩატარდება. აგვისტოსთვის დოკუმენტის შეთანხმებული ტექსტი უკვე აშშ-ს კონგრესში უნდა შევიდეს განსახილველად.

ამჟამად მოქმედი შეთანხმება 2009 წლის 5 დეკემბრამდეა ძალაში.

სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ექსპერტთა ოფიციალური მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 19-20 მაისს მოსკოვში ჩატარდა. რუსეთის დელეგაციას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და განიარაღების დეპარტამენტის დირექტორი ანატოლი ანტონოვი წარმოადგენს, ხოლო ამერიკულ მხარეს - სახელმწიფო მდივნის მოადგილე როუზ ჰეტერ-



2002 წლის შეთანხმება აშშ-ს და რუსეთს სტრატეგიული საიერიშო იარაღის შემცირებას ავალდებულებს

რების საკითხზე. ცნობისათვის - ამერიკა მათ დაშლილ მდგომარეობაში ინახავს, ხოლო რუსეთი საერთოდ ანადგურებს.

უთანხმოების კიდევ ერთი საგანია ის, რომ რუსეთი აპირებს, სტრატეგიული იარაღის შემცირების საკითხი აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტისანიანამდევო თავდაცვითი სისტემების განთავსება დაუკავშიროს, რასაც ვაშინგტონი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

სტრატეგიული იარაღის შესახებ ამჟამად მოქმედი შეთანხმება საბჭოთა კავშირმა და აშშ-მ 1991 წელს გააფორმეს. შეთანხმება მხარეებს ავალდებულებს, რომ ბირთვული იარაღის გადამზიდი საშუალებების რაოდენობა, მათ შორის მიწისზედა ბაზირების კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების რიცხვიც, 1.6 ათასამდე შეამცირონ და მათზე არ უნდა იყოს დამონტაჟებული 6 ათასზე მეტი ბირთვული საბრძოლო იარაღი.

გათვალისწინებულია შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლის მექანიზმიც, რომელიც იმ ობიექტების ინსპექციას ითვალისწინებს, სადაც ინახება ან ნადგურდება იარაღი.

2002 წელს რუსეთმა და ამერიკამ მოსკოვში გააფორმეს ხელშეკრულება სტრატეგიული საიერიშო პოტენციალის შემცირების შესახებ, რომელიც მხარეებს ავალდებულებს, ოპერატიულად შემუშავებული საბრძოლო იარაღი 1.7 - დან 2.2 ათას ერთეულამდე შეამცირონ. ამ დონეს რუსეთმა და აშშ-მ 2012 წლის დეკემბრისთვის უნდა მიაღწიონ. გარდა ამისა, ორივე ქვეყანა იტოვებს უფლებას, ჰქონდეს იმ სახისა და სტრუქტურის სტრატეგიული იარაღი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევენ. საწყობში შენახული ქობინები რაოდენობაში გათვალისწინებული არ არის.

მოუღერი. სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების საკითხზე მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. ამერიკული და რუსული მხარეები ამტკიცებენ, რომ შეხვედრებს სამუშაო ხასიათი აქვს და სახალხო განცხადებების გაკეთებას თავს არიდებენ.

კონსულტაციების პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა, რომ კონსულტაციებმა "კონსტრუქციულ და საქმიან ატმოსფეროში" ჩაიარა. მან ისიც აღნიშნა, რომ ახა-

ლი დოკუმენტის მომზადების ფარგლებში რუსეთსა და აშშ-ს ბევრი ტექნიკური პრობლემის გადაჭრა მოუხდებათ.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ძალების შტაბის ყოფილ მეთაურ ვიქტორ ესინის განცხადებით, მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე ამერიკული მხარე შესამცირებელ იარაღში ბირთვული ქობინებისა და რაკეტშიდების ჩართვაზე დათანხმდა. მანამდე ის მოითხოვდა, რომ შემცირება მხოლოდ ქობინებს შეეხებოდა.

ამავე დროს ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა დასაწყობებული რაკეტებისა და ქობინების განადგუ-

31 მაისს, 2009, შემდგარ "საქართველოს ბანკის" გათამაშებაში 100 გამარჯვებული საქართველოს ბანკში" გამარჯვებული ბილეთებია:

CDS1196447	CDS1218997
CDS1267903	CDS1338143
CDS1338114	CDS1332973
CDS1324773	CDS1250303
CDS1338114	CDS1347133



ბანკი 1000 საქართველოს ბანკი

ბანკით ნაბაი, რაჩოთ ბათაშაშაშა, შოგოთ შინაშე შინაშე და ბიან



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



ბასა ჯანიკაშვილის სკიპი



ინტერვიუ ოცდამეოთხე

კიდევ ახალი სამი განსხვავება

ჩემი სტუმარია პოლიტოლოგი ვახტანგ არგეთანხმები. ბატონმა ვახტანგ არგეთანხმებმა გასული კვირის ინტერვიუ წაიკითხა და გატანა შენიშვნები ჩვენი გაზომისათვის ინტერვიუ მიეცა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ჩემი სტუმარი გახლდათ ანალიტიკური ცენტრის "გაუთხოვთ ერთმანეთს ხელეუბნები" ხელმძღვანელი ფრიდონ მინდაფული. ინტერვიუში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ გასული ერთი წელი ოცდაექვსი მაისიდან ოცდაექვსი მაისამდე.

ბასა ჯანიკაშვილი - ბატონო ვახტანგ არგეთანხმებო, თქვენ გასული კვირის ინტერვიუ წაიკითხეთ და საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი გაგიჩნდათ. მოდი, მკითხველს მოუყევით რაში არ ეთანხმებით ბატონ ფრიდონ მინდაფულს?

ვახტანგ არგეთანხმები - დიდი მადლობა, რომ გადაწყვიტეთ ჩემთან ინტერვიუს აღება. მოდი შევასხენოთ მკითხველს, თუ რა თქვა ბატონმა ფრიდონმა. მან იმ სამ განსხვავებაზე ისაუბრა, რომელიც შეიმჩნევა დღევანდელ არსებულ რევოლუციასა და ვარდების რევოლუციას შორის.

ბ.ჯ. - უკაცრავად, გაგანუგებებთ, მაგრამ ახლა, მეორე რევოლუციაზე არავინ საუბრობს.

ვ.ა. - მინდა შეგახსენოთ, რომ 2003 წლის ნოემბრის დასაწყისშიც არ საუბრობდნენ რევოლუციაზე. რევოლუციაზე საუბარი 2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციის შედეგ მოხდა. მსოფლიო პოლიტიკამ ამ მხრივ ტაქტიკა შეცვალა და არც ქართველები ვართ გაბონაკისები.

ბ.ჯ. - ანუ. დევიზი ასეთია: მოდი ვცადოთ რევოლუცია, მხოლოდ ამას არ დავარქვით რევოლუცია?

ვ.ა. - დიას ასეა. და რა თქმა უნდა, თუ შედეგად რევოლუცია, მაშინ დავარქვით ვარდების, ან მიხაკების, ან ხავერდის, ან ცოცხების და რა ვიცი კიდევ რა.

ბ.ჯ. - ერთი წუთით. მოდი გავიხსენოთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც არჩევნები გაყალბდა და მინიმუმ მეორე ტურის დანიშნვა იყო საჭირო. მაშინაც, უამრავი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა და ოპოზიციის ლიდერების დიდი ძალისხმევით შედგა დღევანდელი რევოლუციაზე უარი განაცხადეს. (რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ) თუმცა იმდროინდელი საპრეტესტო მსვლელობა რაში შეიძლება გადაზრდილიყო არავინ იცის.

ვ.ა. - დიას, ვეთანხმებით, მაგრამ აბა ნარმოიდეგინეთ, ხალხი რომ არ დაშლილიყო და ლიდერებისგან რადიკალური ცვლილებები მოეთხოვა?

ბ.ჯ. - შედეგობა რევოლუცია, რომელსაც იანვრის რევოლუცია დავარქვით?

ვ.ა. - ან თუ გნებავთ ჩარეცხილების რევოლუცია. თქვენ ამოირჩიეთ.

ბ.ჯ. - კარგი, მოდი იმ სამ განსხვავებაზე ვისაუბროთ, რომელიც გასულ კვირას ბატონმა ფრიდონ მინდაფულმა ჩამოთვალა. შეგახსენებთ, სამი განსხვავება დღევანდელ ოპოზიციასა და მაშინდელ ჯერ კიდევ ოპოზიციას შორის.

ვ.ა. - დიას, მან ასხენა პირველი: სატელევიზიო არხი, რომელიც მთელ საქართველოზე მაუწყებლობს, მეორე - საერთაშორისო მხარდაჭერის არქონა და მესამე უფულობა.

ბ.ჯ. - თქვენი სამი განსხვავება?

ვ.ა. - გარდა ზემოთჩამოთვლილისა, დღევანდელ ოპოზიციას, ეგრე ნოდებულ რადიკალურ ოპოზიციას სამი დეტალი აკლია. ეს ის სამი დეტალია, რომელიც ვარდების რევოლუციის ლიდერებს ჰქონდათ. პირველი - დღევანდელ ოპოზიციას არ აქვს ლეგიტიმიზაცია. მაშინ ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავჯდომარე გახლდათ, და მიუხედავად იმისა, რომ ახალი პარლამენტი ე.წ. შევარდნაძის პარლამენტი შედგა, ლეგიტიმიზაციის პრობლემა არ ყოფილა.

ბ.ჯ. - თქვენ გულისხმობთ 2003 წლის 22 ნოემბერს პარლამენტის ნახევარსაათიან სხდომას, რომელიც შევარდნაძის გაქცევით დასრულდა?

ვ.ა. - ვარა, მაშინ ქვორუმი შედგა, მაგრამ მიუხედავად ამისა ვარდების რევოლუცია ხუნტად არავის მოუხათლავს.

ბ.ჯ. - არ შემძლია არ დაგეთანხმით.

ვ.ა. - მეორე: რადიკალურ ოპოზიციას არ ჰყავს ზურაბ ჟვანია, რომელიც მოქმედების დრამატურგის უზადო დამხმარი და შემსრულებელი იყო. და მესამე, არ არსებობს გამოკვეთილი ლიდერი.

ბ.ჯ. - ბევრჯერ მომისმენია, რომ გამოკვეთილი ლიდერის არყოფნა საზოგადოების გამარჯვებაა.

ვ.ა. - ამ აზრს ვერ დავეთანხმები. აბა, ერთი წუთით ნარმოიდეგინეთ, რომ ლიდერი არსებობდა. ისეთი, როგორც ხალხს უნდა. იმ დღიდან დაიწყო საუბრები იმაზე, რომ გამოკვეთილი ლიდერი კარგია. იმიტომ, რომ ულიდერობა გადინაწილებულ პასუხისმგებლობას უდრის. გადანაწილებული პასუხისმგებლობა კი რადიკალური ცვლილებებისათვის ხელისშემშლელია.

ბ.ჯ. - ამაში ვეთანხმებით.

ფ.ს. - და სხვა განსხვავებებში არა?

ბ.ჯ. - დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. წარმატებებს გისურვებთ.

რვენი დროის ინტარნეტბმირები

სიუზენ ბოილის საზღაური პოპულარობისთვის - ნერველი შეტევით კლინიკაში

ი ა ვ ა ა ა

წავიდა დრო, როდესაც გმირები საკუთარ თავს თავად ქმნიდნენ, ახლა მათ შექმნაზე საზოგადოება ზრუნავს, აძლევს სახეს, ფორმას, დანიშნულებას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლამის კერპად აქცევს. დღეს თანამედროვე მსოფლიოს ახალი გმირი ჰყავს - შოტლანდიელი სიუზენ ბოილი, ქალი, რომელსაც პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია საკუთარი პოპულარობისთვის გარდა იმისა, რომ სცენაზე გასვლისა და სიმღერის დიდი სურვილი ჰქონდა. გმირი გვყავს ჩვენც - თემური ჯახაია ვალერის ძე კობორიდან, რომლის ხმის ტემბრს, მიმიკას და დაახლოებით 3 წუთში ჩატელ ტექსტს ყველა იცნობს.

ამ ორ ადამიანს შორის ძალიან ბევრია საერთო. ორივე საკუთარი ქვეყნის პროვინციაში ცხოვრობს და პოპულარობამდე ვერც ერთი წარმოიდგენდა, რომ ერთის შესახებ მთელი საქართველო, მეორეზე კი მსოფლიო ილაპარაკებდა.

თემური ჯახაია საქართველო ინტერნეტით, იუტუბისა და მაივიდოს პორტალებზე დადებული ვიდეოჩანაწერით გაიცნო, ანუ კომუნიკაციის სწორედ იმ საშუალებით, რომელთანაც ალბათ ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. ამ მხრივ გაცილებით კურორტული ბრიტანელი სიუზენ ბოილის სიტუაცია: "არასდროს მინახავს ჩემი თავი ინტერნეტში. წესიერად არც კი ვიცი, რას ნარმოადგენს იგი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ინტერნეტი ძალიან დიდია და მეც სწორედ მისი მეშვეობით გავხდი პოპულარული", - ასეთი კომენტარი გააკეთა ბოილმა, როდესაც საკუთარი პოპულარობის შესახებ საუბრობდა.

თემური ჯახაიას მსგავსად ზუსტად სამი წუთი დასჭირდა 47 წლის სიუზენ ბოილს დიდი ბრიტანეთის დასაპყრობად, მსოფლიომ კი მის შესახებ ერთ კვირაში შეიტყო. იუტუბზე განთავსებული ჩანაწერი, სადაც იგი ტელეშოუ Britain's Got Talent-ზე



გამოდის, პირველივე დღეს 20 მილიონმა ადამიანმა ნახა, ხოლო ერთი თვის განმავლობაში ჩანაწერის დათვალიერებათა რაოდენობა 85,2 მილიონამდე გაიზარდა. თავისი რეკორდი აქვს თემური ჯახაიასაც - დაახლოებით 30 ათასი ნახვა, რაც საქართველოსთვის, მით უმეტეს სრულიად უცნობი ადამიანის შემთხვევაში საკმაოდ დიდია (შედარებისთვის - სტეფანესა და სამი გოგოს ცნობილი სიმღერის ვიდეო ჩანაწერი 200 ათასმა ადამიანმა ნახა. აქ უნდა გავითვალისწინოთ სიმღერის სკანდალურობა, მსოფლიოში გაკეთებული პიარი და სამივე გოგონას მოხდენილობაც).

საყოველთაო პოპულარობამდე სიუზენ ბოილი და თემური ჯახაიაც ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ. მაგალითად, ბოილი ტელეშოუში გამოჩენამდე ნამდვილი უშნო იხვის ჭუკი იყო. მოუვლელი, თმა დაუფარცხელი, სამინელი აქცენტითა და გაუთლელი ქცევებით. ამასთან იგი დაბადებიდან გონებასუსტია, რის გამოც სკოლაში ძალიან ცუდად სწავლობდა. როგორც ინტერვიუებში ამბობს, არასდროს ყოფილა პაემანზე და არც ბიჭისთვის უკოცნია. იგი არ მალავს, რომ ქალწულია, თუმცა ამას ნაკლებად განიცდის, რადგან სიმღერა ყველაფერს ავიწყებს. ამჟამად სიუზენ ბოი-

ლი შოტლანდიის ერთ მიყრუებულ სოფელში მარტო ცხოვრობს, უმუშევარია და სახელმწიფო შემწევით არსებობს. მსოფლიოში ყველაზე მეტად ერთი არსება უყვარს - კატა პებლზი, ხოლო საექლესიო გუნდში სიმღერა მისი საუკეთესო გასართობია.

"სიმღერა 12 წლის ასაკიდან დაიწყე. ხშირად გამოვდიოდი სასკოლო კონცერტებსა და ლობილი სიმღერის ვიდეო ჩანაწერი 200 ათასმა ადამიანმა ნახა. აქ უნდა გავითვალისწინოთ სიმღერის სკანდალურობა, მსოფლიოში გაკეთებული პიარი და სამივე გოგონას მოხდენილობაც".

პირველი გამოსვლა მის ბოილს 11 აპრილს ჰქონდა. როდესაც სცენაზე ჩასუქებული და გარეგნულად საკმაოდ შუშუნადავი ქალი გამოვიდა, დარბაზიდან მისი მისამართით არც თუ სასიამოვნო კომენტარები გაისმა. თუმცა როგორც კი მიუზიკლ "განკიცხულნის" ერთ-ერთი არიის, I dreamed a dream-ის სიმღერა დაიწყო, ყველა გაიჩინდა, რადგან საოცარი შესრულების მონმენი გახდნენ, სიმღერის დასრულების შემდეგ კი მთელი დარბაზი ფეხზე დგომით მიესალმა ახალ ვარსკვლავს. "ვიცი, რომ ჩემმა გამოჩენამ ყველა

შოკში ჩააგდო, თავიდან ჟიურიმ მასხრადაც ამიგდო, ვერ იჯერებდნენ, რომ ერთი ნოტის აღებას მაინც შევძლებდი ნესიერად. თუმცა მთელი ძალა მოვიკრიბე და სიმღერა დაიწყე", - იხსენებდა კონკურსანტი.

სიუზენ ბოილის პირველივე გამოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ახალი სასწაული დაიბადდა. მისდამი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ტელეშოუს პროდიუსერებს მისი დამალვაც კი უწევდათ, რადგან ჟურნალისტები სიუზენს რეპეტეციის დროსაც არ აძლევდნენ მოსვენებას. მუსიკის რამდენიმე კრიტიკოსმა კი ისიც კი განაცხადა, რომ თუ სიუზენი ალბომს ჩანერს, მას მაშინვე დაიტაცებენ, ხოლო მომღერალი მილიონებს იშვებს.

პოპულარობა ეწვია თემური ჯახაიასაც - ბიჭი, რომელიც პატრულმა წერილმანი ქურდობისთვის დააკავა და როგორც საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი, ამისთვის ერთი წელი ციხეში უნდა მჯდარიყო, დღეს მსახიობობას იწყებს. მას მალე გადაიღებენ ახალ ფილმში და თანაც მთავარ როლში. გარდა ამისა, მისი სახელის გამოყენებით ზოგზოგიერთებმა ფულის კეთებაც დაიწეს - ერთმა 50 ლარად ლირებული თემურის გამოსახულებიანი მაისურები გამოუშვა, მეორემ კი მისი ხმის ჩანაწერის სატელეფონო ზარების გაყიდვა დაიწყო. თავისი წილი პოპულარობა მიიღო სიუზენ ბოილმაც, რომელსაც ფანებმა პერსონალური ვებგვერდი შეუქმნეს, ხოლო ერთ-ერთი ტელეარხი მისი ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებასაც აპირებს.

თუმცა როგორც სიუზენ ბოილის შემთხვევაში გარკვევა, ნებისმიერ პოპულარობას აქვს საზღაური. გუშინ ცნობილი გახდა Britain's Got Talent-ის შედეგები და აღმოჩნდა, რომ ამ მომღერალმა საოცრებამ გამარჯვება ვერ შეძლო - პირველი ადგილი ქუჩის მოცეკვავეთა ჯგუფს ხვდა წილად, ბოილი კი ნერველი შეტევით საავადმყოფოში მოხვდა...

უნიკალური აღმოჩენა გზის

მხანებლობისას

რება სამარხები. ეს სამაროვანი ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება. 70-ზე მეტი ადამიანის სამარხი უკვე განმენდილია, - გვითხრა არქეოლოგმა ვახტანგ ლიჩელმა.

ამ ტერიტორიაზე მინამოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები იყო, აქ მოჰყავდათ ხორბალი და სხვა მარცვლეული. ძეგლის საველე-გადარჩენითი სამუშაოების ჩატარებისას, ხისგან დამზადებული ხელსაფეხები, კაჟისგან დამზადებული ნამგლის პირები, ქვის ხელცული, შუბის პირი და სხვა საგნები აღმოაჩინეს. აქვე მიაკვლიეს სამლოცველოს, რომელიც კრამიტით ყოფილა გადახურული. სამლოცველოში დიდი რაოდენობით შენორული ჭურჭელი და თიხის ნაწარმი აღმოჩენილი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერთ-ერთი თიხის ჭურჭელში სამხრეთ მესოპოტამიაში დამზადებული ორი საბეჭდავია. ეს ხელსაწყო იურიდიული დოკუმენტების დასაბეჭდად

გამოიყენებოდა, რაც იმას ადასტურებს, რომ საქართველოს როგორც კულტურული, ისევე პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა ისეთ დიდ სახელმწიფოებთან, როგორიც იყო ურარტუ, ირანი, მესოპოტამია და სხვა.

არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყემელაშვილი, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში ასად ალამი და ბანკის სხვა წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ. მათ მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს:

"ასეთი აღმოჩენები, როგორც წესი, გზის მშენებლობისას კეთდება. ყველაფრის შესწავლას დრო სჭირდება, მაგრამ ეს გზის მშენებლობას არ შეაფერხებს." - განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ასად ალამმა.

აღმოჩენა. ბოლო რამდენიმე წელია, რაც ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. ასეთ ძეგლებს საქართველოს ბევრ რეგიონში შევხვდით. დასახული ვვაქვს, რომ გზის რეკონსტრუქციის სამუშაოები გავაგრძელოთ და თუ მსგავსი კვლავ შეგვხვდება, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა და ყველა დაინტერესებულმა პირმა თავისუფალ რეჟიმში იმუშაოს", - განაცხადა დავით ტყემელაშვილმა.

აქ აღმოჩენილი ნივთების ნაწილი ლაბორატორიული გამოკვლევებისთვისაა გადატანილი. საველე სამუშაოებში სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგის მიმართულების თითქმის ყველა სტუდენტია ჩართული. სექტემბრის დასაწყისში კი ამ უნივერსიტეტის სამარხების ადგილზე, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გვითხრა, ბეტონის გზა დაიგება.

ელენა ბონელი

მომღერალი, რომელიც რესპუბლიკის დღის აღსანიშნავად იმღერებს

თამარ კიკნაველიძე

დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში იტალიელი მომღერლის, ელენა ბონელის კონცერტი გაიმართება. ის იტალიის ეროვნულ დღესასწაულს - რესპუბლიკის დღეს ეძღვნება.

"ჩვენ ვთავაზობთ ღონისძიებას, რომლის მსგავსიც იტალიის საელჩოს ჯერ არ მოუწყვია", - გვითხრა იტალიის ელჩმა საქართველოში, ვიტორიო სანდალიმ პრესკონფერენციაზე, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალურმა დირექტორმა დავით საყვარელიძემ გახსნა: - "ეს დღე მნიშვნელოვანია, როგორც იტალიისთვის, ასევე, საქართველოსთვის და განსაკუთრებით ჩვენი თეატრისთვის, რადგან ის ამ ქვეყნისთვის ერთ-ერთი სერიოზული დასაყრდენია. აქვე მინდა ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო იტალიის საელჩოს წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს გვიწყობენ იმაში, რომ ჩვენი თეატრის მომღერლებმა, ასევე, ტექნიკურმა პერსონალმა, სტაჟირება იტალიაში გაირონ და დაოსტატდნენ".

როგორც იტალიის ელჩისგან შევიტყვეთ, ელენა ბონელიმ შემოთავაზებები გვერდზე გადადო და ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოში არჩია. ვიტორიო სანდალიმ განაცხადა: "ქვეყნებსა და ერებს შორის ურთიერთობები ვითარდება როგორც სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ დონეზე, ასევე, ადამიანური, სოციალური და კულტურული კავშირების საშუალებით. ამ თვალსაზრისით საქართველოსა და იტალიის ურთიერთობა, მრავალსაუკუნოვანი კავშირებით განმტკიცებული, ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია. ხანგრძლივ მეგობრობასთან ერთად, ჩვენს ხალხებს საერთო თვისებებიც აკავშირებს, მათ შორის, უძველესი ტრადიციული მუსიკის სიყვარული. აი, ამიტომ იტალიის საელჩომ საქართველოში გადამწყვეტი, რომ წელს ეროვნული დღესასწაული იტალიის ერთ-ერთი მშვენიერი რეგიონის მუსიკალური ტრადიციით შთაგონებული კონცერტით აღნიშნოს. ქართველი მსმენელი რომაულ სიმღერებს არაჩვეულებრივი იტალიელი მომღერლის შესრულებით მოისმენს. ამასთან, მადლობა მინდა გადავუხადო ოპერისა და ბალეტის თეატრს და ყველა იმ კომპანიას, რომელმაც ეს ღონისძიება დააფინანსა".

ვინ არის ელენა ბონელი? მის შემოქმედებით ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ის მრავალმხრივი შემოქმედი. აღიშნავენ, რომ მსმენელს მოსწონს მისი არაჩვეულებრივი ხმა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერა. ის აქტიურად მონაწილეობს იტალიის მუსიკალური კულტურის საზღვარგარეთ გავრცელების საქმეში. კონცერტებით მოიარა მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყანა და ნამღერი აქვს ნიუ იორკის, ტოკიოს, პარიზის, სიდნეის, მეხიკოს, ისლამაბადის, რიო დე ჟანეიროს, კუალა ლუმპურისა და სხვა ქალაქების თეატრებში.



ელენა ბონელიმ რომის "ლასაპინცას" უნივერსიტეტი უცხო ენებისა და ლიტერატურის სპეციალობით დაამთავრა, სამაგისტრო თემა კი ტორონტოს უნივერსიტეტში დაცვა. სამსახიობო ოსტატობას ის ჯიჯი პროიეტის თეატრალურ სტუდიაში, Sharoff Academy-ში და ნიუ იორკში, სუზან სტრანსბერგის Actor Studio-ში ეუფლებოდა. ავტორია ოთხი მიუზიკლისა: "ლიზა, ნეაპოლი - ნიუ-იორკი - ნეაპოლი", "La Douce France di Juliette Greco", "Napoli Na! - ნეაპოლური სიმღერა მეცამეტე საუკუნიდან დღემდე" და "სიმღერის დიდი გალა". მას შესრულებული აქვს როლები არაერთ მუსიკალურ, დრამატულ, სატელევიზიო და რადიო დადგმაში, რომელთაგან ბევრის ავტორი თავადაა. ის ქართველებს გვთავაზობს პროექტს "რომი მსოფლიოში", რომლის მიზანია იტალიური

ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. სპექტაკლი რომის ყველა მნიშვნელოვან თეატრალურ სცენაზე დაიდგა, მათ შორის, "აუდიტორიუმში" და "ოლიმპიურ თეატრში". კითხვაზე, რატომ გადაწყვიტა ეროვნული დღესასწაულის საქართველოში აღნიშვნა, ელენა ბონელიმ გვიპასუხა: - "ამ იდეის განხორციელებისთვის მადლობა მინდა მოვასხენო ვიტორიო სანდალის და სპონსორებს, რომლებმაც ეს ღონისძიება დააფინანსეს. საქართველო არის ქვეყანა, რომელიც მაქვს ომისა და ნგრევის მძიმე წუთები გადაიტანა და მიუხედავად ამისა, სურვილი აქვს მისი კულტურა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანოს და მსოფლიოს გააცნოს აი, ამან გადაამწყვეტინა საქართველოში ჩამოსვლა. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ურთიერთობები ამ ქვეყანასთან გაღრმავდება და ქართ-

ველ მომღერლებთან ვითანამშრომლებ".
- **უფრო კონკრეტულად, რას იფიქრებთ საქველმოქმედო მუშაობაზე და რას წარმოგვიდგენთ?**
- ეს სპექტაკლი უკვე 6 წლია. ის შედგება რომაული სიმღერებისგან, რომლებიც მივიწყებული იყო და ჩვენ გავისვენეთ. ამ პროექტის განსახორციელებლად დახმარება იტალიაში ცნობილ პროდიუსერებს ვთხოვეთ. ჩვენ შეეძლოდა დაგვედგა სპექტაკლი, რომელიც თეატრალურ წარმოდგენად ვაქციეთ და სიმღერები სხვადასხვა ენაზე შევასრულეთ. ამ პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია იმ ქვეყნებშიც კი, სადაც რომაულ სიმღერებს საერთოდ არ იცნობდნენ. მას როგორც პოეზიას ისე აღიქვამდნენ".
იტალიის საელჩო გვპირდება, რომ დღეს ქართველი მსმენელი ნამდვილდ ისიამოვნებს.

"ელიტ ელექტრონიკსმა" ანიმაციურ ფილმის "გავფრინდეთ მთვარეზე" უფასო ჩვენება მოაწყო

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს "ელიტ ელექტრონიკსმა" რეალიზაციაში ქართულ ენაზე დუბლირებული პირველი 3D ანიმაციური ფილმი "გავფრინდეთ მთვარეზე" გამოუშვა და სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით პატარებისთვის აღნიშნული მულტფილმის უფასო ჩვენება მოაწყო.

სპეციალურად მოწყობილ საბავშვო გარემოსთან ერთად პატარებს სხვა სიურპრიზებიც დახვდათ. 1 ივნისს კომპანიის ყველა მაღაზიაში საბავშვო მულტფილმებისა და წიგნების გამოფენა-გაყიდვაც გაიმართა, სადაც საბავშვო პროდუქცია 5-დან 10%-მდე ფასდაკლებით იყო წარმოდგენილი. ფასდაკლება ქსელში ერთი კვირის განმავლობაში იქნება.

ანიმაციური ფილმის კომპლექტი 2 დისკს აერთიანებს. ჩვენება შეიძლება როგორც სტერეო ასევე სტერეოს გარეშეც ანუ პატარა სურვილისამებრ თავად აირჩევს სამ განზომილებაში უყუროს ანიმაციურ ფილმს თუ ჩვეულებრივ ორ განზომილებაში.

კომპლექტს თან ერთვის 4 სათვალე 3D ვერსიის საყურებლად. ასე რომ 3 განზომილებიანი ვერსიის ყურების საშუალება პატარას მეგობრებთან ერთად შეეძლება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ლეგენდარული გემის "ტიტანიკის" უკანსაკნელი ცოცხლად დარჩენილი მგზავრი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა

97 წლის წინ ატლანტიკის ოკეანეში ჩაძირული ლეგენდარული გემის "ტიტანიკის" ბოლო ცოცხლად დარჩენილი მგზავრი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა. მალვინა დინი "ბი-ბი-სის" ინფორმაციით ინგლისის საგრაფოს ერთ ერთ მოხუცებულთა სახლში ცხოვრობდა. ბოლო რადენიმე წლის განმავლობაში მალვინა დინი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა და მოხუცებულთა სახლში ცხოვრების ხარჯების დასაფარავად მას "ტიტანიკის" კატასტროფასთან დაკავშირებული სახსოვარი ნივთების გაყიდვა მოუწია. აღსანიშნავია, რომ, როდესაც დინმა გაყიდა ჩანთა "ტიტანიკის" ემბლემით, რომელშიც მას და მის ოჯახს 1912 წელს პირადი ნივთები გადაჰქონდათ, ამ ნივთის მყიდველმა, ჩანთის ისტორიის გაგებისთანავე იგი მფლობელს უკან დაუბრუნა. მალვინა დინის მეგობრებმა მისი დახმარების ფონდი შექმნეს, სადაც მნიშვნელოვანი შენატანები გააკეთეს ფილმ "ტიტანიკის" რეჟისორმა ჯეიმ კამერონმა და მსახიობებმა ლეონარდო დიკაპრიომ და ქეთი უინსლემმა.

აღსანიშნავია, რომ თავად დინს ლაინერ "ტიტანიკზე" გადაღებული ფილმი არასოდეს უნახავს, იგი აცხადებდა, რომ ეს მისთვის ძალიან მტკივნეულ და ტრაგიკულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. "ტიტანიკის" დაღუპვის დროს 1912 წლის 15 აპრილს დინი მხოლოდ 2 თვის იყო. მას ამ კატასტროფის შესახებ დედამ მამინ მოუთხრო როდესაც მალვინა 8 წლის იყო. კატასტროფის შედეგად დაიღუპა მისი მამა, დედამ კი ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ერთ-ერთ სამაშველო ნავში ჩაჯდომამ შექლო.

2 223 ადამიანიდან რომელიც იმ დროს "ტიტანიკზე" იმყოფებოდა, მხოლოდ 706 ადამიანი გადარჩა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთელი კვირის განმავლობაში დუშეთში საბავშვო ღონისძიებები გაიმართება

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დუშეთის მუნიციპალიტეტი კვირეულის პროგრამას განახორციელებს. მთელი კვირის განმავლობაში დუშეთში გაიმართება არაერთი საბავშვო ღონისძიება და საზეიმო კონცერტი. ცენტრალურ მოედანზე მოეწყობა მოდების ჩვენება, გაიმართება ბავშვთა ნახატების გამოფენა და ასფალტზე ხატვა. საბავშვო ბაღებში ჩატარდება სპორტული თამაშები. სახელოვნებო სკოლაში შედგება დუშეთის მუსიკალური სკოლების კონცერტები. აღნიშნული კვირეული ყვავილების დღესასწაული დასრულდება, რომელიც 6 ივნისს დუშეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ მოედანზე 16.00სათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთაწმინდის პარკში დევნილი ბავშვებისთვის საქველმოქმედო აქცია გაიმართა

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მთაწმინდის პარკში შპს "ბეკოს", ფონდ "დილომატის" და "კრეატივ ჯგუფის" ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება ავვისტოს ომის შედეგად დევნილი ბავშვებისთვის ჩატარდა. საქველმოქმედო აქციაში წეროვანში მცხოვრები 60 დევნილი ბავშვი მონაწილეობდა. ბავშვები წეროვანიდან ჩამოიყვანეს და პარკში მათთვის მომსახურების სრული პაკეტი იყო გათვალისწინებული. **მედიანიუსი**

პატრიარქმა ბოდბეში წირვა-ლოცვა აღავლინა

ბოდბეს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში, სადაც წმინდანის ნეშტია დაკრძალული, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წირვა-ლოცვა აღავლინა. პატრიარქმა წირვის დასრულების შემდეგ, იქადაგა და ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ბოდბის მონასტერი არ ფუნქციონირებდა.

"ადრე მე და მამაჩემი ჩამოვედით აქ სალოცავად. შემოგვიყვანეს ღამე, რომ არავის არ დაენახა და აქ ძირს იყო სასუქი დაყრილი - აი, ამიტომ არის, რომ ეს ფრესკები ასე დაზიანებულია ამ ქიმიური სასუქისგან. მადლობა უფალს, რომ დღეს თავისუფლად აღვავლენთ წირვა-ლოცვას და წმინდა ნინოს ლოცვით უფალი ისმენს ჩვენს ლოცვას", - ბრძანა პატრიარქმა.

ბოდბეს მონასტერში ნინობასთან დაკავშირებით საქართველოს ყველა კუთხიდან უამრავი ადამიანი იყო ჩასული, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნინობის იქ აღნიშნავს, სადაც წმინდა ნინოს ნეშტია დაკრძალული. **მედიანიუსი**

"მზიურში" ყოველწლიური ფესტივალი "ჩვენ ვხედავთ მზეს - 2009" გაიმართა

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, "მზიურში" ყოველწლიური ფესტივალი "ჩვენ ვხედავთ მზეს - 2009" გაიმართა. ფესტივალის სლოგანი ყოველ წელს იცვლება. წლევედელ სლოგანს წარმოადგენს "მეტი სითბო".

აღნიშნული ღონისძიება მეორედ ჩატარდა და ყველა ბავშვისათვის იყო განკუთვნილი მათი სოციალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მიუხედავად. ფესტივალის მთავარი გმირები ზუგდიდის, ბოდბეს და რუსთავის ბავშვთა სახლების მზრუნველობამოკლებული ბავშვები იყვნენ, რომლებიც ზეიმზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოვიდნენ. პატარებს საჩუქრებიც დაურიგდათ.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საინიციატივო ჯგუფი ანა გოგუაძის ხელმძღვანელობით, პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახის გაასართობი და საბავშვო ღონისძიებები, კერძოდ ზაალ სულაკაურის სტუდიის გამოფენა, ასევე ასფალტზე ფერადი ცარცებით ხატვა და შეჯიბრი მოეწყო. ამასთან, მომღერალ სალომე კორკოტაშვილის ამ ფესტივალისადმი მიძღვნილი სიმღერის პრემიერაც გაიმართა და ა.შ.

პროექტის საინფორმაციო მხარდამჭერები იყვნენ: საზოგადოებრივი მაუწყებელი, "რადიო უცნობი" და "ნაცნობი". ღონისძიების სპონსორები და პარტნიორები: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU, "ekofudi", ფოტოგრაფთა კლუბი GRAF.GE, ბავშვთა ქალაქი "მზიური" და დედაქალაქის მერია. **მედიანიუსი**

"ავერსის კლინიკაში" მიუსაფარ ბავშვთა სამედიცინო გამოკვლევა-გასინჯვა მოეწყო

"ავერსის კლინიკაში" მოეწყო კოჯრის მიუსაფარ ბავშვთა და გლდანის სოციალური ადაპტაციის ცენტრის აღსაზრდელებისთვის სამედიცინო გამოკვლევა-გასინჯვა. ბავშვებს ამ კლინიკაში არაჩვეულებრივი სიუპრიზები და მხიარულება დახვდათ.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე ზრუნვა "ავერსის" ქველმოქმედების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. კომპანია "ავერსი" კოჯრის მიუსაფარ ბავშვთა სახლის და გლდანის სოციალური ადაპტაციის ცენტრის აღსაზრდელებს საჭირო მედიკამენტებით ყოველთვიურად უფასოდ ამარაგებს, რაც მომავალშიც გაგრძელდება. **მედიანიუსი**

ალ პარინო "ეკიმი სიკვდილის" როლში



ალ პარინო ბარი ლევინსონის ფილმში, რომელსაც რეჟისორი ტელეარხ HBO-ს დაკვეთით გადაიღებს, ჯექ კევორკიანის როლს ითამაშებს, რომელიც უფრო "ეკიმი სიკვდილის" მეტსახელითაა ცნობილი.

ფილმში მოქმედება კევორკიანის ცხოვრების სწორედ იმ პერიოდში ვითარდება, როცა იგი თავის ცნობილ მანქანა "მერსიდესს" ქმნიდა. ამ მანქანის საშუალებით იგი უიმედოდ დაავადებულ ადამიანებს სიცოცხლის გამოსაღებაში ეხმარებოდა.

ფილმის სცენარი ადამ მეიზერს (Adam Mazer) ეკუთვნის. პროექტზე მუშაობის დაწყების თარიღი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი.

ჯექ კევორკიანმა შესძლო ევთანაზიის მონიშნულმდეგეები დაერწმუნებინა და მის ლეგალიზაციას ცდილობდა. 1990-

დან 1998 წლის ჩათვლით იგი 130 დაავადებულს დაეხმარა სიცოცხლესთან გამოსაღებაში. თვითმკვლელების გვამს კევორკიანი სასტუმროებში, საავადმყოფოსა და მორგების მიმდებარე ტოვებდა. კევორკიანის დანაშაულის დამტკიცება მხოლოდ 1999 წელს გახდა შესაძლებელი, როცა სამართალდამცავ ორგანოებს 52 წლის ტომას იორკის თვითმკვლელობის ვიდეოჩანაწერი ჩაუვარდათ ხელში. კევორკიანმა ციხეში რვა წელი გაატარა და 2007 წელს გათავისუფლდა.

2008 წლის ბოლოს 80 წლის ჯექ კევორკიანმა საკუთარი კანდიდატურა კონგრესში წარადგინა. იგი ითვლებოდა, როგორც დეტროიტის გარეუბნების ერთ-ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელმაც მხოლოდ ხმათა 2,7 პროცენტი დააგროვა და არჩევნები წააგო.

მარსელ მარსოს ნივთიბი აუქციონზე

ფრანგი მიმის მარსელ მარსოს ნივთების აუქციონმა, რომელიც 26-27 მაისს პარიზში გაიმართა, მის ორგანიზატორებს 490 ათასი ევროს შემოსავალი მოუტანა.

მარსოს სცენისთვის განკუთვნილი - კლოუნის ბიპის კოსტიუმი, 5,7 ათას ევროდ იყიდეს, შლაპა ნითელი ვარდით - 3,2 ათას ევროდ, ხოლო ხელნაწერებისა და ჩანაწერების დღიურის ნაწილი - 2,9 ათას ევროდ გაიყიდა.

საფრანგეთის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ 6,8 ათასი ევრო ცნობილი მიმის ნახატებისთვის გადაიხადა. ბევრი სურათი ორგანიზაცია "ბიპის საზოგადოება"-მ შეისყიდა. საზოგადოება მუზეუმის გახსნას აპირებს, რომელიც საფრანგეთის პანტომიმის ხელოვნების ისტორიას მიეძღვნება. აუქციონზე მხატვარ ანდრე ქელერის (Andre Quellier) სურათის "ბიპის ნიღბები" გაყიდვაც გახდა შესაძლებელი, რომლის შესაძენადც მყიდველმა 20,5 ათასი ევრო გადაიხადა.

მარსელ მარსოს ნივთების გაყიდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას შემდეგ გადაწყდა, რაც 2007 წლის სექტემბერს, 85 წლის ასაკში გარდაცვლილმა მარსომ გადაუხდეელი ვალები დატოვა.

მარსელ მარსო 1923 წელს სტრასბურგში დაიბადა. მოგვი-



ანებით მისი ოჯახი ლიმოჟში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მომავალი მიმი დეკორატიული ხელოვნების სკოლას ესტუმრა. გადაწყვეტილება, მსახიობი გამხდარიყო, მან ჩარლი ჩაპლინის და ბასტერ კიტონის მონაწილეობით გადაღებული ფილმების ყურებით მიღებული შთაბეჭდილების ქვეშ მიიღო. 1947 წელს მარსომ თეთრსახიანი, ზოლებიან ჯემპრინი და დაფლეთილ შლაპიანი კლოუნის - ბიპის გმირი შექმნა, რომელმაც მას მსოფლიო პოპულარობა მოუტანა. 1960 წლამდე მსახიობი საკუთარი დასის შემადგენლობით გამოდიოდა, ხოლო შემდეგი ათი წლის განმავლობაში სოლო წარმოდგენებს მართავდა. მისი დადგმები, რომელთა უმეტესობაც კლასიკად იქცა, მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე იდგმებოდა, მათ შორის - სარა ბერნარის თეატრსა და ელისეის ბალების თეატრში. 1978 წელს მარსომ პარიზის პანტომიმის სკოლა შექმნა, ხოლო 1996 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პანტომიმის ხელოვნების მხარდასაჭერი ფონდი დააარსა. ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის, მარსო საფრანგეთის ხელისუფლების უმაღლესი ჯილდოთი საპატიო ლეგიონის ორდენით არის დაჯილდოებული, ხოლო ტელევიზიაში შესრულებული სამუშაოსთვის პრემია - "ემი" მიიღო.

ნიუ იორკი ფესტივალის ბარეზე დარჩა

მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და ადმინისტრაციული შეცდომების გამო ამერიკულმა კომპანიამ Festival Productions ჯაზური ფესტივალის სერია გააუქმა, მათ შორის მსხვილმასშტაბიანი საზაფხულო ფესტივალი ნიუ იორკში, ასევე ჩიკაგოსა და მაიაში დაგეგმილი პროექტები. The New York Times-ის ინფორმაციით, Festival Productions-თან თანამშრომლობაზე მათმა მთავარმა სპონსორმა კომ-

პანია JVC-მ უარი თქვა. სწორედ ამ მარკის სახელწოდებით - JVC Jazz Festival - იმართებოდა ნიუ იორკში ფესტივალი.

ნიუ იორკის საზაფხულო ჯაზის ფესტივალი, ლეგენდარული ნიუ-პორტის ჯაზის ფესტივალთან (როდ-აილენდის შტატი) წამოვიდა და უფრო ფართომასშტაბიანი სახე მიიღო. იგი 1954 წელს იმპრესარიო ჯორჯ ვეინმა დააარსა. ნიუპორტში ამერიკული სცენის ყველა ვარსკვ-

ლავი გამოდიოდა, მათ შორის მაიკლ დევისი, დიუკ ელინგტონი, ელა ფიტცჯერალდი, კაუნტ ბეისი, ბლუზმენი მადი უოტერსი და სხვა მრავალი. 1972 წელს ფესტივალმა ნიუ იორკში გადაინაცვლა, ხოლო 1981 წლიდან იგი ორგან - ნიუ იორკსა და ნიუპორტში იმართებოდა. კომპანია JVC ფესტივალის სპონსორი 1984 წლიდან გახდა. ფესტივალის ფუძემდებელმა და ორგანიზატორმა ჯორჯ ვეინმა, 2007 წელს

თავისი კომპანია ახალგაზრდა და როგორც The New York Times-ი წერს ქარიზმატულ ბიზნესმენს კრის შილდს მიყიდა. 2008 წელს შილდსმა 17 მუსიკალური პროექტის ორგანიზება მოახერხა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთაც. 2009 წელს მისი კომპანია Festival Productions, სახსრების უქონლობის გამო ვერცერთ ფესტივალს ვერ ჩაატარებს. შილდის გათვლებით, 2010 წლისთვის საქმე-

ები გამოკეთდება. გამომცემლობა ნიუ იორკის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო იმპრესარიოს ჯოელ კრისის სიტყვების ციტირებას ახდენს, რომელიც ისეთ მუსიკოსებთან მუშაობს, როგორებიც არიან რენდი ბრეკერი და ფრედი კოლარე. "ასეთი ჯაზის ფესტივალის დაკარგვა (როგორც ნიუ იორკის ფესტივალი) იმაზე მეტყველებს, რომ მუსიკა ცუდად იყიდება. ხოლო ეს ძალიან საშიშია", - ამტკიცებს კრისი.

სპორტი

"ზუკას თასი" საქართველოში დარცა

გიგა ბარასაგვილი

რამდენიმე წლის განმავლობაში "ზუკას თასი" მეგობრობის წრეში ტარდებოდა, რასაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა ქართული წყალბურთის განვითარებაში და სპორტულ კალენდარში არსებულ ვაკუუმსაც, ასე თუ ისე, ავსებდა. ეს ადრე იყო. წლებულს კი "ზუკას თასმა" საერთაშორისო დატვირთვა მიიღო. მართალია, ისეთი მასშტაბის არა, როგორცაც ვისურვებდით და როგორი ტრადიციებიც გქონდა სპორტის ამ სახეობაში, მაგრამ ყინული დაიძრა. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წყალბურთი პრიორიტეტულ სახეობად გამოაცხადა.



"ზუკას თასის" გამარჯვებული საქართველოს ნაკრები

თუ აქამდე ზუკა სახელამვილის სახელობის თასის გათამაშებაში მხოლოდ ქართული გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, წლებულს მასში ასპარეზობის სურვილი გამოთქვეს მოსკოვის, ოდესის, კიევის საკლუბო ნაკრებებმა და "ლაგუნა ვერეს" საცურაო აუზსაც ეწვივნენ. რა თქმა უნდა, "ზუკას თასისთვის" ბრძოლაში ჩაებნენ

მასპინძლებიც, რომლებიც რამდენიმე კლუბით და პირველი და მეორე ნაკრებით იყვნენ წარმოდგენილნი.

ტურნირი ჩატარდა შერეული სისტემით, მინიმალურად თვის წესებით, ფინალი კი ქართული გამოდგა.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს პირველი და მეორე ნაკრებები. "ზუკას თასი" პირველმა გუნდმა ორ სეტში მოიგო. მანამდე ამ ნაკრებმა ოდესელები ჩამოიშორა გზიდან, ხოლო მეორე ნაკრებმა

მოსკოველები დაამარცხა. მე-სამე ადგილისთვის ბრძოლა მოსკოველებსა და ოდესელებს შორის წარმართა. გამარჯვებს რუსებმა. ნახევარფინალს მიღმა დარჩენილმა ოთხმა ქართულმა კლუბმა - "ლაგუნა ვერემ", "თბილისმა", "დინამომ" და "ივერიამ" კი მეზუთე-მერვე ადგილები დაიკავეს.

საუკეთესო გუნდის გარდა, ტურნირის ორგანიზატორებმა რამდენიმე ნომინაციაშიც გამოავლინეს გამარჯვებულები. "ზუკას თასის" საუკეთესო მოთამაშედ ცნეს ნაკრები I-ის წყალბურთელი კონსტანტინე გეგელაშვილი, საუკეთესო მეკარედ - ივერიელი ირაკლი ფაველნიშვილი, ბომბარდირი ოდესელი ილია ოლხოვიკი გახდა, მაყურებლის სიმპათიის პრიზი კი მოსკოველ ვიტალი ობუზაროვს ერგო.

"ზუკას თასი 2009"

- მე-7 ადგილისთვის ლაგუნა ვერე - თბილისი 2:0
- მე-5 ადგილისთვის დინამო - ივერი 2:0
- მე-3 ადგილისთვის მოსკოვი - ოდესა 2:1
- ნახევარფინალი ნაკრები I - ოდესა 2:0
- ნაკრები II - მოსკოვი 2:0
- ფინალი ნაკრები I - ნაკრები II 2:0



დავით კოჭირიძის სკეჩი

VENI, VIDI, VICI კახალონიურად

ბრწყინვალე "ბარსელონა" 27 მაისს ევროპის ჩემპიონი გახდა და ტრიპლეტი გაარტყა. ამ გუნდმა გახურებულ ოცდამეერთე საუკუნეში შეძლო ის, რაც 50-60 წლის წინათ, რომანტიკული ფეხბურთის ეპოქაშიც კი გასაკვირი იყო - თამაშმა ულამაზესი ფეხბურთი და ყველაფერი მოიგო. აი ისინი, ვინც კომპინაცია, სანახაობა + შედეგი, ამ რეაქტიულ დროში რეალობად აქცია:

ვიქტორ ვალდესი. ოდნავ ცანცარა მეკარე, რომელიც ხშირად ემოციების მსხვერპლი ხდებდა. როცა გუნდს თამაში მისდის, ვალდესიც ყოჩაღადა და ხშირად სასწაულ ბურთებსაც იღებს.

კარლეს უილი. დიდი კაპიტანი, დიდი მეტროლი, დიდი მცველი. ის იქაა, სადაც კატალონიას სჭირდება. ამჯერად მარჯვნივ დასჭირდა და ისიც, როგორც ყოველთვის, შესანიშნავი იყო. არ იღლება, გუნდს მართავს, შეტევებშიც უყვარს გასვინება (ბავშვობაში ფორვარდი იყო). ერთი მიწისი აქვს - პასი არ უყვარა.

იაია ტურე. კოლო ტურეს უმცროსი ძმა მშვენიერი ფეხბურთელი დადგა ერთ სეზონში. ჯანიათა, ტვინიც აქვს, ტექნიკაც და სითამამეც. ძირითადად საყრდენია, თუმცა ლიგაზე ნახევარფინალი და ფინალი ცენტრალურ მცველი იყო და გამართლა. დიდი მომავალი ექყანება.

ხერარდ პიკე. მალალი, ფარგალივით ფეხებით, ხისტი და ჭკვიანი. ისიც ძალიან დაიხვეწა ამ სეზონში. მოულოდნელად უყვარს გამორჩენა მონინალდდესის საჯარიმოში. კარგად თამაშობს თავით.

სილვინიო. მოედანზე ყოფნისას თითქოს სამსახურშია. გამოცდილია. კარგად აწოდებს, თუმცა სისწრაფე და თავბეღობა აკლია.

ხავი. უბრალოდ, გენიალური ფეხბურთელი. ცარიელი ინტელექტი. ბურთი მისი სხეულის ნაწილია და მის ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილება. იდეალური პასი აქვს, ჯარმას ხომიანად ურტყამს, ტემპს აკონტროლებს და მოედანს ზღაპრულად ხედავს. იცის ართმევა. ფინალის ემ-ვი-პი გახდა.

სერხიო ბუსკეტსი. უნიჭო მეკარის, კარლეს ბუსკეტსის ნიჭიერი ვაჟი. ჯერ ბოლომდე არ გამოთლილა, თუმცა კარგი მონაცემები აქვს. ძალიან მალალია, თუმცა ეს მის ტექნიკას ხელს არ უშლის. ცოტა ჯანი და პრაქტიკა აკლია.

ანდრეს ინესტა. რომ არა მესი, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა ამ სეზონიდან გამომდინარე. ფიზიკურად თითქოს სუსტია, თუმცა ბურთის ისე ფარავს, კორპუსს ისე იყენებს, რომ ან უნდა დააგდო, ან გაატარო. ძალიან ტექნიკურია, ბურთთან მუდმივია, ხავისთან იდეალურ ნეკელს ქმნის, აკეთებს იდუმალებით მოცულ პასებს.

ტიერი ანრი. გამოცდილების საბადო. ერთ-ერთი უბრძოლესი ფორვარდი ფეხბურთის ისტორიაში. ცოტა დამძიმდა, თუმცა მანც ძალიან სწრაფი და სახიფათოა. ორიგინალურად იტყუება, უყვარს ბურთის დაბზრიალება, აქვს არანორმალური საგოლე ალღო, პასი არასდროს ენახება.

ლეო მესი. თანამედროვე ფეხბურთის მეფე. უტიფარი ბავში, რომელიც პატარა, დალუნული ფეხებით იმას აკეთებს, რაც ბევრს ხელითაც გაუჭირდება. უნიკალური სლალომი აქვს. იღებს გაუგონარ გადაწყვეტილებებს და სისრულეშიც მოჰყავს. ბურთთან ერთად უფრო ჩქარა დარბის, ვიდრე უბურთოდ. უკვე დიადა.

სამუელ ეტო ო. დღეს ყველაზე ბასრია. ხშირად თავად ქმნის გოლს, როგორც ეს რომში მოხდა. საოცრად ელასტიკურია, შეტევა საჯარიმოს გარედან უყვარს, ძალიან ზუსტი დარტყმა აქვს. ცოტა უხასიათოა.

ფინალში არ უთამაშია ძირითადი შემადგენლობის სამ ფეხბურთელს, თუმცა მათი დავინება ნამდვილად არ შეიძლება:

დანიელ ალვესი. მთელი სეზონი საგარეუბნო მატარებელივით ირბინა მარჯვენა ფრთაზე. დაცვაზე სასარგებლო შეტევებში ჩართვისას იყო, ადვილად ატყუებს კაცს, კარგი დარტყმა და ჩანოვება აქვს, მეტოქეს ტკიპასავით ეკრობა და გოლებიც გააქვს.

რაფაელ მარკესი. ბრძენი მცველი, რომელიც ამ ბოლო დროს ტრავმებმა დატანჯა. მოზღვავებული საფეხბურთო ინტელექტის გამო იშვიათად უწევს მოედანზე ფორთხიალი. კარგად კითხულობს თამაშს. ხშირად გააქვს გოლები თავით და ჯარიმიდან.

ერიკ აბიდალი. ერთი დიდი კუნთი. მტრისას, ვინმეს თუ გაკვიდა. ბოლო პასი არ გამოსდის, თუმცა მანამდე ყველაფერს შესანიშნავად აკეთებს.

და, რა თქმა უნდა, ხოსკე გვარდიოლა. დამწყები მწვრთნელი, რომელმაც ისე დაიწყო, ბევრს ასე დამთავრებაც სანატრელი აქვს. კარგი ფსიქოლოგი ჩანს, თან ღირსეული კაცია. კარგად წარმართა როტაციის პროცესი და ყველასგან მაქსიმუმის ამოქაჩვა შეძლო.

მომავალ სამშაბათამდე

იტალიაში ჩემპიონატი ქართველების გარეშე დასრულდა

ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე საუბარი სულ უფრო რთულდება. ევროპის საფეხბურთო ოჯახში თითქმის დასრულდა ჩემპიონატები და სათქმელიც ბევრი არაფერია. მხოლოდ რუსეთში გრძელდება პრემიერლიგის გათამაშება. კვირას რუსეთის თასის ფინალური მატჩის გამო უქმეებზე ჩატარებული ჩემპიონატი შემოკლებული სახით მოგვევლინა. კვირასვე დასრულდა იტალიის ჩემპიონატი. სერია ა-ს ბოლო ტურმა ამჯერადაც ქართველების გარეშე ჩაიარა. ტრავმირებული კახა კალაძის გარეშე მოთამაშე "მილანმა" ფლორენციაში გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნა, რაც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე პირდაპირ თამაშის უფლებას იძლევა. კვირის მატჩი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ანჩელოტი "მილანს" უკანასკნელად გაუძღვა მოედანზე. საგარაუდოდ, "მილანის" რიგებში უკანასკნელად გააგორა ბურთი კაკაძემაც.



რაც შეეხება "პალერმოს", ლევან მჭედლიძეს ბოლო ტურში არ უთამაშია. სიცილიელებმა კი ფრედ - 2:2 თამაშეს "სამპდორიასთან" და ჩემპიონატი მერვე ადგილზე დაასრულეს. მეტ-ნაკლები წარმატებით დამთავრდა უნგრეთის ჩემპიონატი ქართველებისთვის. რატი ალექსიძემ უნგრეთის საფეხბურთო პირველობის ბოლო, 30-ე ტურში დუბლი შეასრულა, მისი და დავით ოდიკაძის "დიორ ეტო" კი "შიოფოკთან" გასვლით მატჩში 2:3 დაამარცხა.

"დიორ ეტოს" მთავარმა მწვრთნელმა დრაგოლუბ ბეკვალაჩმა დავით ოდიკაძე 58-ე წუთზე შეუშვა მოედანზე. ამ უკანასკნელს შეფასებად 4 ერგო. რუსეთის ჩემპიონატში ლევან გვაზავას "ტერეკმა" ქართველის გარეშე ფრედ ითამაშა "როსტოვთან". ასევე ქართველთა გარეშე

ჩაიარა რუსეთის თასის ფინალმა, რომელშიც ცსკამ "რუბინი" დაამარცხა. ბელორუსის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-10 ტურში გივი კვარაცხელიას "მტზ-რიპო"-მ დედაქალაქური დერბი "დინამოსთან" 0:5 წააგო. ქართველმა კი ავტოგოლით გამოიჩინა თავი.

შოთა არველაძე ისტორიაში შევიდა

უეფას თასი გაუქმდა. რემდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა უეფას თასთან დაკავშირებული ათასგვარი სტატისტიკური მონაცემი და გაირკვა, რომ ამ ტურნირში ყველაზე მეტი გოლი შეედ ჰენრიკ ლარსონს გაუტანია. "ფეინერორდში", "სელტიკსა" და "პელსინგბორგში" ასპარეზობისას მან უეფას თასზე 37-ჯერ გამოიჩინა თავი. ამით ლარსონმა გერმანელი დიეტერ მიულერის რეკორდი (29 გოლი) გააუმჯობესა. რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, მესამე ადგილზე საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი შოთა არველაძე გავიდა. თბილისის "დინამოში", "ტრაზონსფორში", "აიაქსში", "რეინჯერსა" და "ალკმარში" ასპარეზობისას შოთამ 27 გოლი გაიტანა. ასე რომ, უეფას თასის ისტორიაში შოთა არველაძის სახელიც საპატიო ადგილს იკავებს.

დემეტრადემ "ბაკი" დატოვა

ქართველმა ფორვარდმა გიორგი დემეტრადემ სეზონის დასრულებისთანავე დატოვა აზერბაიჯანული კლუბი "ბაკი". ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, კლუბმა ქართველ ფორვარდთან განშორების გადაწყვეტილება მწვრთნელ ჯოკიჩ ჰაჯიევიკის თხოვნით მიიღო. ქართველ ლეგიონერთან კონტრაქტის განწყვეტის თაობაზე ოფიციალური განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდება, რაც "ბაკი" ახალ თავდამსხმელს შეიძენს. გიორგი დემეტრადე 2008 წლიდან იცავდა "ბაკის" ლირსებას.

პერესის მეორედ მოსვლა

1 ივნისიდან ფლორენტიო პერესი ოფიციალურად გახდა მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი. მართალია, საპრეზიდენტო არჩევნების 14 ივნისისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ "სამეფო კლუბის" წესდებაში არსებობს პუნქტი, რომლის თანახმად, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს მონაწილეობას, არჩევნები აღარ ტარდება და კანდიდატი ავტომატურად იკავებს პრეზიდენტის პოსტს.

პერესს არჩევნებში მონაწილეობაზე კარგა ხანია ჰქონდა წარდგენილი განაცხადი, გუშინ კი ამოიწურა ის ვადა, როდესაც კანდიდატებს განაცხადის წარდგენის საშუალება ჰქონდათ. ასე რომ, ამოქმედდა წესდების ზემოხსენებული პუნქტი და ფლორენტიო პერესი "სამეფო კლუბის" პრეზიდენტი გახდა.

ახალი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი კლუბის სპორტულ დირექტორად ხორხე ვალდანოს დანიშვნა იქნება. დიდი შანსია, რომ 2 ივნისს მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი "ვილაარეალის" თავაკაცი მანუელე პელეგრინი გახდეს. გარდა ამისა, უახლოეს ხანში "სამეფო კლუბი" წარადგენს ბრაზილიელ შემტევ ნახევარმცველ კაკას, რომელიც, ესპანური მედიის ინფორმაციით, "მილანმა" "რეალს" 60 მილიონ ევროდ დაუთმო.

უხიფათო ბომბი სტადიონზე

გერმანული კლუბის "შტუტგარტის" სტადიონის რეკონსტრუქციის დროს მუშებმა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი 18 ბომბი აღმოაჩინეს.

სპეციალისტთა განცხადებით, ბომბები სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის, თუმცა გამორიცხული არაა "Mercedes-Benz-Arena" ისევ დანაშაული აღმოჩნდეს.

"შტუტგარტის" სტადიონი 1933 წელს აშენდა, მეორე მსოფლიო ომის დროს კი სტადიონი საბჭოთა ჯარებმა დაბომბეს. ბომბების აღმოჩენა სტადიონის გაფართოების შედეგია. რეკონსტრუქციის დროს მუშები ნახევარი მეტრით ჩავიდნენ მიწის ქვეშ. რეკონსტრუქციას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს - "Mercedes-Benz-Arena"-ზე მაყურებელთა რაოდენობა 57-დან 60 ათასამდე გაიზარდება.

ტიერი ანრი ისვენებს

ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში ტიერი ანრიმ ტრავმირებული მუხლით ითამაშა. ახლა კი, როდესაც საკლუბო სეზონი დასრულდა, ფრანგი ფორვარდი მკურნალობას იწყებს, რის გამოც გამოტოვებს საფრანგეთის ნაკრების ორ უახლოეს ამხანაგურ მატჩს. ფრანგები 2 ივნისს ამხანაგურად ნიგერიელებს, სამი დღის შემდეგ კი თურქებს გაეჯიბრებიან.

ფორმულა 1 ჰოლივუდში

ჰოლივუდი ფორმულა 1-ზე ფილმს გადაიღებს. სამეფო რბოლათა იმპრესარიო ბერნი ეკლსტონი კინოსტუდიებთან უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას. მისი განცხადებით, დიდი ხანია იგეგმება ფორმულა 1-ის ისტორიაზე კინოფილმის შექმნა. ფილმის ჟანრი ჯერ უცნობია. თავიდან ეკლსტონმა განაცხადა, რომ ფილმი დოკუმენტური იქნებოდა, თუმცა შემდეგ უარყო ეს განცხადება. ირკვევა, რომ ფილმს წმინდა დოკუმენტური დატვირთვა არ ექნება.

ჭერარდი საკუთარ ძალებში დარწმუნებულია

"ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერი სტივენ ჯერარდი, რომელიც ამ სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, საკუთარ ძალებში დარწმუნებულია და ფიქრობს, რომ კიდევ უფრო უკეთ შეუძლია თამაში. "ლივერპულისა" და ნაკრების მწვრთნელები ყოველთვის ცდილობენ ჩემი სათამაშო თვისებების გაუმჯობესებას. 29 წლის ვარ, მაგრამ გერმანო, რომ თამაში უკეთ შემიძლია. ყოველდღე ვარჯიშზე რაიმე ახლის სწავლას ვცდილობ. ჯერ კიდევ "შშიერი" და ამბიციური ვარ. "ლივერპულთან" და ნაკრებთან ერთად კიდევ ბევრ რამეს უნდა მივადლო. იმედია, მომავალი სეზონი მეტ ჯილდოს მოგვიტანს." - განაცხადა ჯერარდმა. პოლო 19 წლის განმავლობაში ჯერარდის "ლივერპულის" პირველი ფეხბურთელია, რომელსაც შურნალისტების მხრიდან ასეთი აღიარება ხვდა წილად. მანამდე FWA-ს მიერ დაწესებული ჯილდო ჯონ ბარნსმა მიიღო.

ანჩელოტი ნავიდა, ლეონარდო მოდის

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ კარლო ანჩელოტი და მასთან ერთად "როსონერის" მთელი ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, მომავალ სეზონში "მილანის" მწვრთნელი ისევ ანჩელოტი იქნებაო, კვირას, "ფიორენტინას" დამარცხების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ანჩელოტიმ გუნდი დატოვა და, სავარაუდოდ, ლონდონის "ჩელსიში" გააგრძელებს კარიერას.

"მილანსა" და ანჩელოტის შორის კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

კარლო ანჩელოტი "მილანს" 2001 წლიდან ედგა სათავეში. ამ ხნის განმავლობაში გუნდმა თითოჯერ მოიგო იტალიის სერია A, ქვეყნის თასი, სუპერთასი, ფიფას მსოფლიოს საკლუბო თასი, აგრეთვე ორ-ორჯერ იზიჰმა გამარჯვება ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის სუპერთასის გათამაშებაში.

"ანჩელოტი ჩემი კარგი მეგობარია და ჩვენს შორის ყოველთვის იქნება კარგი ურთიერთობა. მწვრთნელთან პრობლემა არასდროს გვექონია, მაგ-



ანჩელოტიმ "მილანი" დატოვა

რამ ალბათ დადგა დრო, როდესაც გუნდს რაღაც ცვლილებები ესაჭიროება და სწორედ მწვრთნელიდან უნდა დაივიწყოს. მომავალი სეზონიდან "მილანის" მწვრთნელი ანჩელოტი აღარ იქნება", - განაცხადა ადრიანო გალიანი.

"როსონერის" კარლო ანჩელოტის შემცვლელი უკვე შეგულებული ჰყავს. "მილანის" მეს-

ვეურები სულ ამბობდნენ, რომ კლუბს მხოლოდ იმ სპეციალისტს ჩააბარებენ, რომელსაც თავის დროზე "მილანში" ფეხბურთელის რანგში აქვს ნათამაშები. ამის გამო ვარაუდობდნენ, რომ კარლო ანჩელოტის ადგილს მარკო ვან ბასტენი ან ფრენკ რაიკაარდი დაიკავებდნენ. უფრო მეტად ვან ბასტენის კანდიდატურა განიხილებოდა,

კლუბის სიმბოლოდ ქსეული მუქარა

ფიფასა და უეფას ოფიციალურ ვებგვერდებს კარგი ტრადიცია აქვთ. დროდადრო გულშემმატკივარს საშუალება ეძლევა კითხვა დაუსვას ფეხბურთის მოქმედ თუ ძველ ვარსკვლავს და მისგან პასუხი მიიღოს. ცნობისთვის: კითხვის დასმის საშუალება ყველას აქვს, მათ შორის, ქართველებსაც. ამისთვის ბევრი არაფერია საჭირო. უბრალოდ, დარეგისტრირდით საიტზე, თვალყური ადევნეთ მიმდინარე ამბებს და კითხვის დასმის საშუალებაც მოგეცემათ.

მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინ ფიფას საიტზე გამოქვეყნდა ლეგენდარული გერმანელი მეკარის ოლივერ კანის ინტერვიუ. ეს ინტერვიუ სწორედ გულშემმატკივართა კითხვებზე კანის მიერ გაცემული პასუხებით არის შედგენილი.

აი, რას პასუხობს ფანებს ფიფას ვერსიით მსოფლიოს სამგზის საუკეთესო მეკარე ოლივერ კანი.

- **ნუთუ არ გენატრებათ ის დრო, როდესაც ფეხბურთის პროფესიონალურად თამაშობდით?**

- გამოგიტყდებით და, არა. 20 წელი ერთ საქმეს ვემსახურებოდი, ახლა კი, როცა დრო გამომითავისუფლდა, სიამოვნებას ვიღებ. თუმცა ბოლომდე მართალი ვიქნები და გეტყვით, რომ გარკვეული დეტალები მაინც მენატრება.

- **რითი ხარ დაკავებული?**

- როდესაც გერმანიის ეროვნული ნაკრები თამაშობს, ტელევიზიაში კომენტატორის ფუნქციებს ვითავსებ. აგრეთვე ვარ გერმანიის ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ ორგანიზებული პროექტის ("მე ეს შემიძლია") წევრი. ყველაფერი ეს ბავშვთა დასახმარებლად კეთდება და ეს საქმიანობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

- **თავის დროზე მეკარეობა რატომ აირჩიეთ?**

- ეს ძალიან კონკრეტული ამბავია, რომელიც არაერთხელ მომივლია და მომავალშიც ვიზირად მოგყვები, თუ ამის საშუალება მექნება. ექვსი წლის ვიყავი, როდესაც ბაბუამ ზებ



ოლივერ კანს ფეხბურთი არ ენატრება

მაიერის ფორმა მიყიდა. ფეხბურთის თამაში სწორედ მაშინ გადავწყვიტე. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ შევაჩერე არჩევანი მეკარეობაზე.

- **უაღრესად წარმატებული კარიერა გქონდათ. რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?**

- მეტისმეტად ბანალურად უნდა გიპასუხოთ. დისციპლინა, ბეჯითი შრომა, ჯანმრთელი ამბიცია. ყველაფერი ამის ნაზავი იძლევა წარმატებას. თუ ეს გაქვს, ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მოგანიჭებს.

- **როგორ ახერხებდით ყოველთვის მოტივაციის შენარჩუნებას?**

- პირველი და უმთავრესი ის არის, რომ თავად თამაში უნდა განიტყვდეს სიამოვნებას. ჩემს კარიერაშიც იყო პერიოდი, როცა ყველაფრისთვის თავის დასვენება მიწოდდა, მაგრამ მერე ახალი მიზნები დავისახე, როდესაც ერთხელ მიაღწევ წარმატებას, მერე გინდა, რომ ეს კიდევ გაიმეორო. სწორედ ეს გაი-

ძულებს, გახვიდე მინდორზე, ითამაშო და ახალი სიმაღლეები დაიპყრო.

- **თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით დაახსიათთ საკუთარი თავი.**

- ვნებიანი და ემოციური.
- **რომელია თქვენი კარიერის დაუვიწყარი მომენტი?**
- წესით, ცხადია, გამარჯვებაზე უნდა ვისაუბრო, მაგრამ არასდროს დამავიწყდება 1999 წლის ჩემპიონთა ლიგა და ის დიდი იმედგაცრუება, რომელიც ფინალში განვიცადე. კიდევ კარგი, 2001 წელს გაიმარჯვეთ და ის იმედგაცრუებაც დაგძლიე. აგრეთვე, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისა და 2006 წლის ბრინჯაოს მედლები.

- **"სეივი", რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ.**

- ისევ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგას გავისხენებ. ჯგუფურ ეტაპზე, ერთ-ერთ მატჩში, მეტოქემ დაახლოებით ათი მეტრიდან დამირტყა და ბურთი თი-

რომელმაც ახლახან დატოვა ამსტერდამის "აიაქსი". ამ პერიოდში არავის გახსენებია ბრაზილიელი ლეონარდო, რომელმაც საუკეთესო წლები სწორედ "მილანში" გაატარა, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კლუბში დარჩა და გუნდის ხელმძღვანელობაში მუშაობდა. "მილანს" სწორედ ლეონარდო ჩაიბარებს.

"დასამალი არაფერია. მომავალ სეზონში "მილანის" მწვრთნელი ლეონარდო იქნება", - ამბობს გალიანი.

მწვრთნელებზე საუბრისას გალიანის სიტყვაც არ უთქვამს კაკას შესახებ, რომელიც, ესპანური მედიის მტკიცებით, უკვე "რეალის" ფეხბურთელია. თავად კაკამ კი ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

"მე არ მითქვამს, რომ არ ვიცი, რას გავაკეთებ მომავალ სეზონში, რომელ გუნდში ვითამაშებ. უბრალოდ, ახლა არ მინდა ტრანსფერებზე საუბარი. ერთადერთი, რაც შემიძლია ზუსტად გითხრათ, ის არის, რომ ზაფხულში იტალიას დაეტოვებ და დასასვენებლად ბრაზილიაში წავალ", - თქვა კაკამ.

თის წვერებით მოვიგერი.

- **რომელიმე ფორვარდის თუ გემინოდათ?**

- შიში არასდროს მქონია, თუმცა იყვნენ ჩემთვის უხერხული თავდამსხმელები და მათ უდიდეს პატივს ვცემდი. მაგალითად, პიპო ინძაგი და როი მაკაი ყოველთვის ახერხებდნენ ჩემთვის გოლის გატანას.

- **კარიერის მანძილზე მხოლოდ ორ კლუბში ითამაშეთ. არასდროს გქონიათ სურვილი, უცხოეთში გეცადათ ძალა?**

- მქონდა შანსი სხვა კლუბში გადასულიყავი. 2003-04 წლების სეზონში "მანჩესტერიდან" და "ბარსელონიდან" იყო შემოთავაზებები, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა და არც ვნანობ. არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც კარიერის განმავლობაში 20 კლუბს იცვლიან და მათი სახელი არც ერთთან არ ასოცირდება. მე კი, თუ ამპარტავნებაში არ ჩამომართმევთ, "ბაიერნის" სიმბოლოდ ვიქეცი.

"ვისოლი" ქართული სპორტის სამსახურში

მიხეილ აბაიშვილი

მსოფლიო ფინანსური კრიზისის და ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი დახმარებების მკვეთრი შემცირების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ კომპანიების კეთილი ნება და ზრუნვა, რომლებიც ამ პირობებშიც კი არ ერიდებიან სპორტში მეცენატობას. ბევრმა კომპანიამ, რომლებიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ინვესტიციების ჩადებით, არათუ შეამცირეს აქტიურობა ამ მიმართულებით, არამედ, ობიექტურ გარემოებათა გამო, საერთოდ შეწყვიტეს ეს პროცესი და ბიზნესის გადარჩენაზე არიან კონცენტრირებულნი. ასეთ პირობებში კომპანია "ვისოლის" გადწყვეტილება - არ დაიშროს ფინანსები სპორტის სხვადასხ-

ვა სახეობის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისთვის, ზედმეტი პათეტიკის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მართლაც დასაფასებელია. 2008 წელს "ვისოლ ჯგუფმა" სპორტის მიმართულებით უამრავი საინტერესო პროექტი განახორციელა. ერთი წლის განმავლობაში ამ კომპანიის მიერ საქართველოში მხოლოდ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის განთავსებული ინვესტიციები ჯამში 8 მილიონ ლარს გადააჭარბა. "ვისოლ ჯგუფის" მიერ დიდ დიდი ღირებულების სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სოფელ დილოში აშენდა და კეთილმოეწყო კრივის, კარატესა და ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის ტექნიკური ცენტრები, განხორციელდა შუამთის ქუჩაზე მდებარე რაგბის კომპლექსის

სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა. ასევე, კომპანია "ვისოლ ჯგუფმა" სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი საფეხბურთო სპორტსკოლა "ავაზას" სრული რეაბილიტაცია და შეფასა სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა. "ვისოლის" მეცენატობა მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებაში განთავსებული ინვესტიციებით არ შემოიფარგლება. 2008 წლის ზაფხულში კომპანიამ შეისყიდა ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ძველი რაგბის კლუბი "ყოჩები", რომელიც უკვე ერთი წელია "ვისოლი-ყოჩების" სახელით მონაწილეობს ტურნირებში. "ვისოლის" ყურადღების მიღმა არც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ აღიარებული 1 ივნისის დარჩა. ამ თარიღთან დაკავშირებით გუშინ საფეხბურთო სპორტსკოლა "ავა-

ზაში" და სოფელ დილოში მდებარე "ვისოლის" სპორტულ კომპლექსში დაიწყო ტურნირები მინიფეხბურთსა და ჭიდაობაში. მონაწილეობენ დედაქალაქისა და რეგიონების 10-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეები. მონაწილეთა საერთო რაოდენობა შთამბეჭდავია: ტურნირებში 300-მდე მოზარდია ჩაბმული. "ვისოლს" სწამს, რომ საქართველოში ახალგაზრდები დაკავებულნი უნდა იყვნენ სწავლით და სპორტით. ჯანსაღი ცხოვრების წესი პირად თუ პროფესიულ ასპარეზზე წარმატების გარანტიაა. ამას გარდა, "ვისოლი" თავს ვალდებულია თვლის, გვერდში ედგას ქართულ სპორტს და თავადაც სპორტული ცხოვრების წესით ცხოვრობს, - გვითხრა "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ფხაკაძემ.

ჰიდინკი კონსულტანტი იქნება

ფეხბურთის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუს ჰიდინკმა სეზონის დასრულებისთანავე დატოვა "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი და თავის მუდმივ სამუშაოს დაუბრუნდა (როგორც იცით, ჰიდინკი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია). თუმცა ჰოლანდიელი საბოლოოდ არ წყვეტს კავშირს "ჩელსისთან" და მომავალში ამ გუნდის კონსულტანტი იქნება. "ჩელსისთან" მუდმივ კონტაქტში ვიქნები. კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის კონსულტანტობა მთხოვა. თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს წინადადება უარყავი? ხომ ასეა? - ამბობს ჰიდინკი.

ბალაქი რჩება

"ჩელსის" გერმანელმა ნახევარმცველმა მიხაელ ბალაქამ დადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კლუბთან კონტრაქტი გააგრძელებს. "კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, მაგრამ მისი პირობები უკვე შევთანხმებ. მომავალ სეზონშიც "ჩელსის" ლირსებას დავიცავ. რაც შეეხება ახალ მთავარ მწვრთნელს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა, ვფიქრობ, ჩვენს გუნდს კარლო ანჩელოტი ჩაუდგება სათავეში. მისი ხელმძღვანელობით არასოდეს მითამაშია. მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი, მაგრამ მეჩვენება, რომ იტალიელზე ყველაფერი ნათქვამია მისივე წარმატებული მოღვაწეობით, - განაცხადა ბალაქამ.

ვიდეკას დაასვენებენ

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პიმ ვერბეკმა 33 წლის ფორვარდი მარკ ვიდუკა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უახლოეს მატჩებზე სათამაშოდ არ იხმობ, რამაც მწვანე კონტინენტზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრმა ისიც კი თქვა, რომ ვიდუკამ სანაკრებო კარიერა დაასრულა. თუმცა ვინარეობა სულ სხვაგვარი ყოფილა. მარკი სეზონმა ძალიან დაღალა და დასვენება სურს. ფეხბურთელს მწვრთნელისთვის უთხოვია, ზაფხულში დასვენების საშუალება მოემციო.

"მარკმა თავად მითხრა, რომ მძიმე სეზონის შემდეგ აუცილებლად ესაჭიროება შესვენება. მას მომავლის შესახებ გადანიშნულებების მიღება სურს. ახლა ვიდუკა წყვეტს, თუ რას გააკეთებს შემდგომში - მას ხომ "ნიუკასლთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. ჩვენ მის პოზიციას პატივს ვცემთ და სწორი არჩევანის გაკეთებას ვუსურვებთ", - ამბობს ვერბეკი.

სეზონი ვიდუკამ "ნიუკასლში" გაატარა და პრემიერლიგასაც დაემშვიდობა, თანაც ავსტრალიელს "კაჭკაჭებთან" კონტრაქტის ვადა ამოწურა. ახლა ის თავისუფალი აგენტია. შესაძლოა ნაკრებში თამაშზე მცირე ხნით უარის თქმის მიზეზი ისიც იყოს, რომ ახლა ვიდუკა, სანაკრებო საქმეებზე მეტად, საკლუბო პერსპექტივით არის დაკავებული.

მიკოლიმ საკუთარი მომავალი "პალერმოს" დაუკავშირა

ლევან მჭედლიძის კლუბმა "პალერმო" 2012 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი გუნდის ლიდერ ფაბრიციო მიკოლისთან. "მან ახალი კონტრაქტი კლუბის ოფისში პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინისა და სპორტულ დირექტორ ვალტერ საბატინის თანდასწრებით გააფორმა", - იუწყება საფეხბურთო კლუბი "პალერმო" ოფიციალური ვებგვერდი. სიცოცხლეზე მიკოლი ტურინის "იუვენტუსისგან" 2007 წელს 3,5 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ შეიძინეს და მას შემდეგ მიკოლი "პალერმო"ს ლიდერად ჩამოყალიბდა.

ვან დერ სარისა და გვარდიოლას აღიარება

ევროპული სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESM) განვლილი საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მწვრთნელად "ბარსელონას" თავკაცი ხოსეპ გვარდიოლა დაასახელა, ხოლო საუკეთესო მენეჯერად - ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ვან დერ სარი.

ამის შესახებ რუსული სპორტული გამოცემა "სპორტ-ექსპრესი" იუწყება. გვარდიოლას კანდიდატურას ამ ასოციაციაში შემავალმა ყველა ნამყვანმა ევროპულმა სპორტულმა გამოცემამ ერთხმად დაუჭირა მხარი. 38 წლის გვარდიოლა, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია, ვისაც ოდესმე ჩემპიონთა ლიგა მოუგია, ESM-ის პრემიის მეოთხე ლაურეატი გახდა. მანამდე ასეთი პატივი იწიდად ზედათ მარჩელო ლიპის, კარლო ანჩელოტის და ალექს ფერეიუსოს. ევროპული სპორტული გამოცემების ასოციაციამ საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი ნელს პირველად დაანება. მისი მფლობელი გახდა ჰოლანდიელი ვან დერ სარი.

იაკინტა "იუვეში" რჩება

იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა "ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააგრძელებს და მომავალ სეზონშიც ამ კლუბის ლირსებას დაცემს. "ახალი კონტრაქტი 2013 წლამდეა ვათვლილი და ის უკვე მზადაა. მხოლოდ ხელის მოწერაა საჭირო, რაც ძალიან მალე მოხდება. კლუბმა დამტკიცა, რომ ჩემი სჯერა და ეს ბევრს ნიშნავს. ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს, რომ გუნდისთვის სიკეთის მოტანა შემიძლია," - თქვა იაკინტამ. იაკინტას გადაბრუნებით რამდენიმე უცხოური კლუბი იყო დაინტერესებული. "ტოტენჰემი" ფორვარდში 7 მილიონ გირვანქას იხდოდა, მაგრამ ტურინელებმა ამ ტრანსფერს ვეტო დაადეს.

"ამერიკული ღვეჯელის" სინანული

თაა დოლიძე

"ამერიკული ღვეჯელის" მსახიობმა ტარა რეიდმა აღიარა - ძალიან ნანობს, რომ საკუთარი სხეულის "შექმნაში" პლასტიკური ქირურგები ჩარია. გოგონას, რომელიც ექვსი წლიდან გაუშინაურდა ტელეკამერებს, ყველაზე მეტი პოპულარობა მოუტანა "ამერიკულმა ღვეჯელმა". სხვათათვის კი გაცილებით დასამახსოვრებელია ტარას პირადი ცხოვრება. ფეხბურთელები ტომ ბრედი, ჯერემი სოჩი, კაილ ბოლერო და რუსი ჰოკეისტი სერგეი ფიოდოროვი ტარას მეგობარი მამაკაცების არასრული სიაა. მრავალფეროვანი პირადი ცხოვრების გარდა, ტარა, პერის ჰილტონთან ერთად, სკანდალური წვეულებების ხშირი სტუმრობითაც გამოირჩევა. სპორტსმენებით გატაცების გარდა, მსახიობი პლასტიკური ქირურგიის დიდი მოყვარულია. მისი მკერდი და მუცელი არაერთხელ აღმოჩენილა სკალპელის ქვეშ.



ტარა რეიდს არაერთი სპორტსმენი მოუხიბლავს

"ძალიან ვნანობ ქირურგების ჩარევას. კაცებს ისედაც მოვწონდი. ახლა ძალიან მეშინია ოპერაციების. ეს ავიაკატასტროფაში მოხვედრის ტოლფასია, რომელიც თვითმფრინავის ფობიით გასაჩიურებს. მუცელზე დარჩენილი იარები ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობებს ჰკავს", - ადრეულ გადანიშნულებებს ნანობს ტარა. პრესასთან გულახდილ საუბარში მსახიობს არც პირველი სექსის დროს მიღებული განცდები დაუმაღავს. პირიქით, აღიარა, რომ ეს გამოცდილება ნამდვილად არ იყო სასიამოვნო. არასრულწლოვანი ტარა იმდენად უკმაყოფილო დარჩენილა პირველი მამაკაცით, რომ საკუთარ ცხოვრებაში ბევრ რამეს დიდი სიამოვნებით შეცვლიდა და საკუთარ ბედსაც სხვაგვარად წარმართავდა. "კაცი ყოველთვის ვერ განიცდებს სიამოვნებას. უფრო უსია-

მოვნო კი ის არის, როდესაც ყველაფერში მონაწილეობს საყვარელი მამაკაცი. აბა, როგორი სათქმელია, მუდმივ პარტნიორს მისი ღირსების ზომაზე მიუთითო. ამიტომ ხშირად ხელოვნურ მონყობილობას ვიყენებ", - გულს გვიშლის სპორტსმენების მოყვარული მსახიობი.

ტარას მხრივ, ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ ფაბრეგასი "არსენალის" დატოვებას აპირებს, მეორე მხრივ, ვინმემ ეს შესაძლოა მინიშნებადაც ჩათვალოს. ასეა თუ ისე, ბრიტანელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ "ბარსა" ფაბრეგასში 45 მილიონ ევროს გადაიხდის. თანხა საკმაოდ დიდია და თუ ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაა, ვინ იცის, იქნებ "მეთოფებმა" ცდუნებას ვერ გაუძლონ და ფაბრეგასი გაყიდონ კიდევ.

ფაბრეგასს "ბარსელონაში" ელიან

ამ სეზონის ტრიუმფალურად დასრულების შემდეგ "ბარსელონამ" ტრანსფერებზე დაიწყო ფიქრი. ერთი შეხედვით პეკ გვარდიოლას გუნდს დიდად გაძლიერება არ ესაჭიროება, მით უმეტეს, არ სჭირდება გაძლიერება ნახევარდაცვას, თუმცა პირველივე ჭორი, რომელიც კატალონიური გრანდის სატრანსფერო საქმიანობას უკავშირდება, სწორედ ნახევარმცველის შექმნას ეხება. თუ ბრიტანულ გამოცემა "სანდი მირორს" დაუჯერებთ, "ბარსელონა" მზადაა სესხ ფაბრეგასის

ტრანსფერში "არსენალს" 45 მილიონი ევრო გადაუხადოს. იმის გამო, რომ სესხი "ბარსელონას" სკოლიდან გადავიდა "არსენალში", თითქმის ყოველ ზაფხულს ვრცელდება ხმა, რომ "არსენალის" ესპანელი ლიდერი სამშობლოში დაბრუნდება და ესპანური გრანდებიდან ერთ-ერთს შეუერთდება, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე. ამავე დროს ფაბრეგასი მუდამ "არსენალს" ეფიცება ერთგულებას. ამბობს, რომ გუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში დატო-

ვებს, თუ ლონდონური კლუბიდან არსენ ვენგერი წავა. მორიგი ჭორის საბაბად იქცა სესხის ინტერვიუ, რომელშიც მან ინგლისელ ჟურნალისტს განუცხადა, რომ "ბარსა" მისთვის ყოველთვის საოცნებო გუნდი იყო და კატალონიურ გრანდში თამაშზე მსოფლიოში ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ იტყვის უარს. ეს ინტერვიუ ჟურნალისტმა მას შემდეგ ჩაწერა, რაც "ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო და სესხმა ისიც კი თქვა, რომ თამაშის შემდეგ თეთრი შურით შურდა კა-



**დაიკყარი მწვერვალი!
გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი
\$325 000

Elite Model Look Georgia 2009

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ჯეაქია შიფუჩი, სინდი ჯოუფოხი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 ნდამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიჩვილი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნოცადის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის და
სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი
ქალის ჯანმრთელობაა!
თავი დაიცავით სარკვე ჯირკვლის
და საშვილოსნოს ავთვისებიანი
სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



1 მარტიდან

საჯალლო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



JOHN DEERE

საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. 24-47-44, 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი თბილისი მოტორსი

ცვლილება ბანცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ გაზეთ "24 საათში" (2009 წლის 19 მაისის N109) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების 7.1 პუნქტში შევიდა ცვლილება/დაზუსტება შემდეგი რედაქციით:

7.1 იურიდიული პირებისათვის:

- ცნობას საგადასახდო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს;

სატენდერო კომისია

ბანცხადება ტენდერში

გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2009 წლის 4 მაისს ჩატარებულ ტენდერში სატრანსპორტო საშუალებებისთვის ბენზინის სახელმწიფო შესყიდვა გამარჯვებულად გამოვლინდა ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია.

27 მაისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო მხარისათვის შეტყობინების მიზნით სსდომის დღის კუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელმა ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია რევაზ პერტაიასა და ლაშა დარასელიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 5 324.72 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სსენებელი საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სსდომა დანიშნულია 2009 წლის 10 ივნისს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

სსენებელი სსდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე რევაზ პერტაია, მცხ: ზუგდიდი, თამარ მეფის ქ.N27 და ლაშა დარასელია, მცხ: თბილისი, მ.კოსტავას N46/50.

29 მაისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სსდომის დღის კუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელმა ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ალექსანდრე კუჭუხიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 4 498.29 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სსენებელი საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სსდომა დანიშნულია 2009 წლის 15 ივნისს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

სსენებელი სსდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ალექსანდრე კუჭუხიძე, მცხ: ყვარელი, ძნელაძის ქ.N32. ფაქ. მის: ქ.თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ., კორპ.N72, ბინა N3;



აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (ჩა), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ), საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

2009 წლის 1 ივნისს აცხადებენ ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო საკონკურსო პროგრამას პროგრამის მიზანია კომპანიებისა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და ბიზნესზე ორიენტირებულ მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო თითოეული გრანტის ოდენობა - არაუმეტეს 40,000 ლარისა. კომპანიების მონაწილეობის სავალდებულო წილი ინდივიდუალურ პროექტში შეადგენს გრანტის თანხის მინიმუმ 15%-ს. ეს თანხა მოტივანად გამოყენებული უნდა იქნეს მეცნიერთა ჯგუფის ხარჯებისთვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ის ვებ-გვერდებზე: www.gnsf.ge და www.grdf.ge

პროექტების სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადა 2009 წლის 17 აგვისტო

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) მისამართი: ქ. თბილისი, 0168, მინდელის ქ. N7, მე-3 სართული. ტელეფონი: 21 03 61; 32 01 68 ფაქსი: 21 02 28 ელ.ფოსტა: step@grdf.ge ან george@grdf.ge საკონტაქტო პირი: ნინო კენცევა-გაბაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ტენდერს კოლიბრაზიული საბეჭდო მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - პოლიგრაფიული საბეჭდო მასალები დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვების მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო დოკუმენტაციის განაწილება შესაძლებელი იქნება სატენდერო მისაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 2 ივნისიდან 23 ივნისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მისაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) დარს. მისაკრებელი გადახდის უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასავალდებულო სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 ბანკის კოდი: 220101222 სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება სატენდერო მისაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ პოლიგრაფიული საბეჭდო მასალების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერია.

პრეტენდენტებს განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დაფუძვლულ კონვერტში 2009 წლის 23 ივნისის 12 საათიდან 25 ივნისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადებების განხილვა შესაძლებელია პრეტენდენტთა თანდასწრებით, შემოთავაზებული მისამართზე, 2009 წლის 25 ივნისის 12:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

იურიდიულ პირთათვის:

- ამინაწერი ხაზგაშეიშვით რეგისტრირებული;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ სთრავდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან დიკლინაცია;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საქართველოს საჯარო ტრენინგების ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქსენაზე არ არის აღძრული ყადაღა;

ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქსენაზე ინფორმაციის შესახებ;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრების საქმის წარმოება;

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დამადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებების ერთად (ერთ დაფუძვლულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ხემათაშორისი) საკვალიფიკაციო მონაცემების შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დასუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მიახედინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მხურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონის/ფაქსის, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.

დაფინანსებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოკლებულია ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ფაქტური დირექტორების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ფაქტური დირექტორების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 15 დღით უნდა აღარაბრუნდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოს მენოუშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი №1	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	ქაღალდი ოფსეტური 80 გრ/მ2.	მმ	2 000	ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში	ქ. თბილისი
2	ქაღალდი ოფსეტური 60 გრ/მ2.	მმ	7 000		
3	საწიფე ქაღალდი 70 გრ/მ2.	მმ	7 000		
4	ქაღალდი ცარცის 250გრ/მ2 დაჭრილი 70X100	მმ	1 510		
5	ქაღალდი ცარცის 115 გრ/მ2 76-86 სმ	მმ	5 000		
6	ოფსეტური ქაღალდი 120 გრ/მ2. 76-86 სმ	მმ	1 000		
7	ქაღალდი ცარცის 90 გრ.	მმ	9 500		
8	ქაღალდი ცარცის 200 გრ.	მმ	4 550		
9	დაწნული ქაღალდი 300 გრ.	მმ	500		
10	ქაღალდი ცარცის 130 გრ/მ2	მმ	3 000		
11	კალკა a-4 (90 გრ/მ2)	ფურც.	12 410	ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში	ქ. თბილისი
12	მუკაო 2 მმ.	ცალი	1 000		
13	მუკაო 3 მმ.	ცალი	1 000		
14	ცალმზრები მუკაო 230 გრ. (ხრომერევი)	მმ	4 000		
15	ცალმზრები მუკაო 230 გრ. (ბრისტოლი)	მმ	4 500		
16	წებო ებულსია პოლიგრაფიული	მმ	415		
17	ქაღალდის შესაკრავი ლენტე	მ.	10 050		
18	მეთილი 0.08 მმ	კოჭი	20		
19	საბეჭდი ფორმა „პლანეტის“	ც.	1 200		
20	კაპრონის ძაფი	კოჭი	59		
21	კაპრონის თოკი	მმ	157		
22	საბეჭდი ფორმა „დომინანტის“	ცალი	2 200		
23	„პლანეტის რეზინი“	ცალი	4		
24	„დომინანტის რეზინი“	ცალი	4		
25	„პლანეტის“ ვალიკების გადასაკრავი ქსოვილი	მეტრი	20		
26	„დომინანტის“ ვალიკების გადასაკრავი ქსოვილი	მეტრი	37		
27	ფუნჯი სხვადასხვა ზომის	ცალი	100		
28	ბუმბინილი რულონებად, თითო 100 მ.	კოჭა	3		
29	ხელოთმანი (შავი რეზინის)	ცალი	55		
30	ფორმების საწმენდი ხსნარი	ლიტ	310		
31	ფორმების დასახური ხსნარი	ლიტ	240		
32	ფორმების გასამკლავებელი ხსნარი	ლიტ	560		
33	სპირტი	ლიტ	40		
34	საღებავი (ტროდა)4 ფერი	მმ	40		
35	საღებავი (მათიორბელი)	მმ	20		
36	საღებავი (ყვლე)	მმ	11		
37	საღებავი (პანტონის სხვადასხვა ფერის)	მმ	10		
38	დეკლეს რეზინის დასაბეჭდი ქაღალდი	ცალი	16		
39	კორექტორი (-)(+)	ც	3		
40	სათიორი (რეზინის ნაპლჩიკი)	ცალი	100		
41	ნათურები (დღის განათების) 60 ცმ-1,20 სმ	ცალი	100		
42	ღრუბელი 20X30	ცალი	58		
43	ნემსი (წიფის საკრავი მანქანის)	ცალი	22		
44	საღებავი რისოგრაფის (100 მლ)	ცალი	80		
45	მასტერი 3 ფორმა (შიდა D4,5სმ)	ცალი	13		
46	საწმენდი "მიდრო-H"	ლიტ.	405		
47	პოლიგრაფიული პუდრა	მმ	20		
48	ფორმები	ცალი	500		
49	ფირი ფერდამშლელის	რულ	11		
50	ფირი ფერდამშლელის	რულ	4		
51	თერმონეჭი	მმ	295		
52	ლამინატის ფირები	რულ	79		
53	ქიმიკატები ფერდამშლელი	ლიტ.	325		
54	"SPID MASTER" რეზინი	ცალი	8		
55	"SPID MASTER" ვალიკების გადასაკრავი ქსოვილი	მეტრი	100		
56	საკატევი	მმ	2		
57	ასკინები ზამბარები და კეუჭი 100 მ	რულონი	7		

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამედიცინო ინჟინტარის და უზენაესი დიაგნოსტიკის აპარატურის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - სამედიცინო ინჟინტარი და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის აპარატურა დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვების მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით (საქართველოს შემთხვევაში ტრენინგის ხარჯი), კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოხატვების გადახდის შემდეგ, 2009 წლის 2 ივნისიდან 23 ივნისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვიციანიძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოხატვების ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოხატვებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოხატვები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო ინჟინტარის და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის აპარატურის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

